საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 12 მარტი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 15×2 სტრიქონი [illegible] 100 მანეთი. ხელნაწ[illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის მე-18-იდან. ტელეფონი 16—63

№ 58 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 58

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს რუსეთის დიდ რევოლიუციას

გაუმარჯოს ინტერნაციონალს — გაუმარჯოს დემოკრატიას და დამფუძნებელ კრებას

გაუმარჯოს სოციალიზმს

ორი დღესასწაული

დღეს რუსეთის რევოლიუციის მესამე წლი თავდება. 12 მარტი ჩვენმა რესპუბლიკამ სადღესასწაულო დღეთ მიიჩნია და ამით აღიარა, რომ რუსეთის რევოლიუცია იგივე სავლის იმ წყაროთ, საიდანაც დასაწყისს ღებულობს მთელი ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრიობა. დემოკრატიზმი, რომელიც საფუძვლად დაედვა ჩვენი რესპუბლიკის წესწყობილებას, რუსეთის რევოლიუციიდან წარმომდინარეობს. ავიღეთ ჩვენი სახელმწიფოებრივ წყობილების ყველაზე უფრო ნიშანდობლივი მხარეები და დაინახავთ, რომ ისინი წარმოადგენენ რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგების ცხოვრებაში გატარებას.

პოლიტიკური ფორმა ჩვენი სახელმწიფოსა—დემოკრატიული რესპუბლიკა—რუსეთის რევოლიუციის მიერ არის ნაანდერძევი. ხალხის უზენაესი ნებისყოფის გამოხატულება დამფუძნებელი კრება—ეს იყო რუსეთის რევოლიუციის მახლობელი მიზანი. მთელი ხელმწიფების ფაქტიური გადაცემა ხალხის ხელში, სახელმწიფო მოხელეთა ხალხის მიერ არჩევა—ეს მიაჩნდა რუსეთის რევოლიუციას ხალხის უზენაესი ნებისყოფის განმტკიცების ერთად ერთ გზათ.

რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგია აგრეთვე ის ფართო სამოქალაქო თავისუფლებანი, რომლებითაც სარგებლობენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი. ყველა ეს უმთავრესი პოლიტიკური იდეები რუსეთის რევოლიუციისა სინამდვილეთ არის გადაქცეული ჩვენს რესპუბლიკაში.

სოციალური წყობილება, რომლის განმტკიცების გზაზედაც არის შემდგარი ჩვენი რესპუბლიკა, რუსეთის რევოლიუციისაგან მიღებული სამკვიდროა. მუშათა კანონმდებლობის მთელი რიგი, 8 საათის სამუშაო დღე, კოლექტიური ხელშეკრულება, მუშათა დაზღვევა, პროფესიონალური კავშირები, ყველა ის, რაც გატარებულია და რის გატარებაც ახლო მომავალში მზადდება, რუსეთის რევოლიუციის პროგრამიდან არის გადმოწერილი. აგრარული კანონის დედა აზრი, მთელი მიწა მიწის მუშას—რუსეთის რევოლიუციის პროგრამიდან არის ამოღებული და ჩვენ მიერ განხორციელებული ადგილობრივ პირობების მიხედვით. ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მხოლოდ ერთი რამ არის ისეთი, რაც რუსეთის რევოლიუციას არ ჰქონია გათვალისწინებული, და რასაც არავინ მოელოდა რუსეთის რევოლიუციის დასაწყისში. ეს არის ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის რევოლიუციას ეს ფაქტი სრულებით არ ჰქონია გათვალისწინებული, ჩვენი დამოუკიდებლობა მაინც რუსეთის რევოლიუციის ღვიძლი შვილია. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ თუ არ რევოლიუცია რუსეთში, თუ არ დამხობა რუსეთის პოლიტიკური სახელმწიფოსი, არავის სიზმრათაც არ მოეზმანებოდა ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ჩვენი ქვეყნის გამოცხადება დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ჩვენი და რუსეთის გზები გაიყარნენ. ის გზა, რომელსაც რუსეთი დაადგა, ჩვენთვის მიუღებელი გამოდგა. რუსეთის სინამდვილეში რევოლიუციის ადგილი დაიჭირა ერთის მხრით ანარქიამ, მეორეს მხრით—რეაქციამ; ამ ორმა ძალამ სამოქალაქო ცეცხლის ალში გახვია მთელი რუსეთის ხალხი; ნგრევა, რყვნა, განადგურება, კულტურული დაცემა, გაველურება და მრავალი სხვა უბედურება დაატყდა რუსეთის ხალხს ამ ომში. რევოლიუცია რუსეთიდან გამოიდევნა და თავშესაფარი საქართველოში ჰპოვა. ჩვენმა პატარა რესპუბლიკამ შეიკედლა და შეინახა რუსეთის დიდი რევოლიუცია. რუსეთში უკვე ორი წელიწადია დავიწყებულია მისი ანდერძი, მის ხმას ყურს არავინ უგდებს. მხოლოდ ჩვენში აქვს გასავალი მის ლოზუნგებს, მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკა მისდევს მის მიერ ნაჩვენებ გზას.

შემთხვევითი მოვლენა არ არის ის, რომ რუსეთის რევოლიუციის მესამე წლის თავი იმავ დროს არის საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების პირველი წლის თავი. შეუძლებელია ამაზე უფრო კანონიერი და ამაზე უფრო ლოღიკური შეერთება ორი ღირსშესანიშნავ დღისა. დამფუძნ. კრება რუსეთის რევოლიუციის ძლევამოსილობის პირველი ეტაპია. პირველი სიტყვა რევოლიუციის მიერ წარმოთქმული იყო: „სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება". დიდი ტანჯვა წვალებით მან კიდევაც განახორციელა ეს თავისი ნატვრა, მაგრამ ანარქიის მოციქულებმა პირველ დღესვე მოუკლეს რევოლიუციას დიდი ხნის ნანატრი შვილი. სამაგიეროთ პატარა საქართველომ აჩუქა რევოლიუციას ის, რაც წაართვა მას დიდმა რუსეთმა — „სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება".

ორი დღესასწაულია დღეს საქართველოში: დღესასწაული დედისა და შვილისა, რუსეთის რევოლიუციის და საქართველოს დამფუძნებელი კრებისა. მით უფრო საზეიმოა დღევანდელი დღე ჩვენი რესპუბლიკის ყოველ მოქალაქისათვის.

სინათლე დასავლეთიდან

საქართველო ვერ დაივიწყებს თავის კავშირს რუსეთის რევოლიუციასთან. ამ რევოლიუციამ გახსნა ახალი ხანა მთელი კაცობრიობის და ყველა ერების ისტორიაში. ამას ქონდა პირველათ საერთაშორისო ხასიათი.

მსოფლიო ომის დროს ისე შეუკავშირდა რუსეთი მთელ დასავლეთ ევროპას, რომ შეუძლებელი იყო აქ რევოლიუციის გამარჯვება, თუ იქ ისევ ძველი სამოქალაქო მშვიდობიანობა დარჩებოდა. ეს ცხადი იყო თავიდანვე. ამიტომ ამართა რუსეთის რევოლიუციამ საერთაშორისო დროშა, ვის არ ახსოვს პირველი მიმართვა უცხოეთის მშრომელი ხალხისადმი? პეტროგრადის მუშათა საბჭომ მოინდომა დასავლეთში ნიადაგის მოპოვება, იქ მხარის დამჭერი ძალის პოვნა. ვერ მიაღწია ამ მიზანს, რუსეთის რევოლიუციონური სინათლე ვერ გასცილდა რუსეთის საზღვრებს. [illegible] ვერ აამოძრავა დასავლეთი. საერთაშორისო ასპარეზზე გამოსასვლელათ მომზადებული რევოლიუცია დარჩა ეროვნულ ფარგლებში. ეს იყო მისი პირველი დამარცხება. აქედან დაიწყო მისი თავდაღმართისკენ დაქანება,

რუსეთის ბურჟუაზიამ ისარგებლა ამით და მოინდომა ძველის ნანგრევებზე თავისი კლასიური ბატონობის აშენება. მისი გაბატონება იქნებოდა ისევ ძველი დროის უკან დაბრუნება. ის, მართალია, პირველ დღეებში შეურიგებელი სიტყვებით იხსენიებდა დაცემულ წესწყობილებას, მაგრამ არსებითად მისი ნათესაური კავშირი უფრო იქით იყო, ვიდრე აქეთ.

დროებითმა მთავრობამ მილიუკოვის პირით მალე გამოიჩინა ამნაირი ნათესაობა. ხელში აიღო თვითმპყრობელობის ძველი ვექსილები და სავალდებულოთ გამოაცხადა ახალი რუსეთისთვის. მილიუკოვმა ხელი მოაწერა ნიკოლოზ მეორის პირობებზე და შეუთვალა მოკავშირეთა მთავრობებს,— ჩვენი რევოლიუცია პირნათლათ შეასრულებს ამ მოვალეობასო.

საერთაშორისო ასპარეზზე, ამნაირათ, მოხდა ორი გამოსვლა, ერთი—მილიუკოვის, მეორე—მუშათა საბჭოსი. მილიუკოვმა ხელი გაუწოდა ევროპის ბურჟუაზიას, მუშათა საბჭომ გამოიწვია ევროპის მშრომელი ხალხი დიდი და პატარა მილიუკოვების წინააღმდეგ. ეს კლასთა შეჯახება იქ ვერ გათავდა რევოლიუციის სასარგებლოთ.

რუსეთის ბურჟუაზიამ გაიმარჯვა საერთაშორისო ბრძოლის ველზე, მაგრამ ის საშინლათ დამარცხდა თვითონ რუსეთში. მუშათა საბჭომ ვერ აამოძრავა სხვა ქვეყნების მშრომელი ხალხი, მაგრამ მაშინვე გააჩუმა თავისი ქვეყნის ბურჟუაზია. მილიუკოვი გავიდა მთავრობიდან, იარაღი დაჰყარა მოპირდაპირე კლასის წინ.

ამ კლასის მაშინდელ ხელმძღვანელებს ეგონათ, რომ მილიუკოვის რუსეთში დამარცხება მთელი ევროპულ ბურჟუაზიას გამოაცლის ფეხქვეშ საბატონო ნიადაგსო. სინამდვილემ ვერ გაამართლა ეს იმედი. ევროპის ბურჟუაზია ძლიერი იყო თავის თავათ. მისთვის მილიუკოვი არ წარმოადგენდა ისეთ ბურჯს, ურომლისოთაც ის ვეღარაფერზე მოიმაგრებდა ფეხს.

მილიუკოვის გაქცევა მხოლოდ გარეგნული ნიშანი იყო ჩვენი რევოლიუციის გამარჯვების. რევოლიუცია დადგა ამის შემდეგ გადაუჭრელი საკითხის წინ. უნდა მოენახა მსოფლიო ომის მალე გასათავებელი გზა და შესდგომოდა დემოკრატიული სახელმწიფოს საძირკვლიან-კედლებიანათ აგებას.

ომის გათავება, რა თქმა უნდა, მარტო რუსეთზე არ იყო დამოკიდებული. ის გრძელდებოდა, ეს კი ხელს არ უწყობდა აქ ნაყოფიერ მუშაობას. ჯარი, მშრომელი ხალხი ანგარიშს არ უწევდნენ გარეშე პირობებს, მოითხოვდნენ ახლავე შეუძლებლის შესრულებას. ასე შეურიგებლათ გაყოფილ საზოგადოებას სათავეში მოექცა მომრიგებელი მთავრობა. სამინისტროში შევიდნენ სოციალისტები. ორი მოპირდაპირე კლასის თანამშრომლობით ფიქრობდნენ კლასთა წინააღმდეგობის შესუსტებას.

მოხდა სულ სხვა. მოხდა ის, რასაც არ ელოდნენ მთავრობაში შესული სოციალისტები. ისინი დაემორჩილნენ მაშინდელ საერთაშორისო პირობებს. სოციალისტური ხელით აწარმოებდნენ ბურჟუაზიის პოლიტიკას. ვერ გადაახტებს ისტორიას. გაქცეულ მილიუკოვს შეეძლო ეთქვა კოალიციური მთავრობისთვის,—მე თქვენთან არ ვარ, მაგრამ თქვენ კი ჩემთან ხართ, ჩემ გატკეპნილ გზაზე მოდიხართო.

„შემარიგებელმა" მთავრობამ კიდევ უფრო გაამწვავა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა. მუშებმა, გლეხებმა, ჯარმა გაადიდეს თავისი მოთხოვნები. გაიზარდა ანარქია. შეგნებული მუშათა კლასი მაშინ მხარს უჭერდა დროებით მთავრობას. საბჭოებში და საბჭოთა საერთო სიეზდებზე ბოლშევიკები დიდ უმცირესობას შეადგენდნენ. მაგრამ მთელ რუსეთში მათ მხარეზე გადადიოდა მშრომელი ხალხის უმეტესობა.

ლენინი თვალყურს ადევნებდა მოძრაობას და ფიქრობდა, საცაა ჩემ ქუჩაზე დღესასწაული დადგებაო. ხედავდა, რომ ბურჟუაზიულ სოციალისტურ მთავრობას თანდათან ეკარგებოდა ნდობა, ეკარგებოდა ნდობა მუშათა საბჭოსაც. ბოლშევიკები ეუბნებოდნენ უკმაყოფილოებს, ოღონდ ხელში აიღეთ მართვა-გამგეობა და ყველაფერს მიიღებთო. მუშა გლეხებმა ამ აგიტაციიდან გამოიტანეს შესაფერისი დასკვნა: მთავრობაზე დამოკიდებული თანამშრომელ ოფიცერ-ჩინოვნიკების გასწორება, ალბათ ახლანდელ მთავრობას ეს არ უნდა, ისევ ჩვენ ვიხსნით თავს, ჩვენ რომ გავმეფდებით, მოვისურვებთ და გავაკეთებთ რაც გვესაჭიროებათო.

ასე მოიკიდა ფეხი რუსეთის რევოლიუციაში სუბიექტიურმა მსოფლმხედველობამ. ძველი სუბიექტივისტები ამბობდნენ,—საზოგადოების წინსვლა განვითარება დამოკიდებულია ადამიანის მისწრაფებაზეო. ისინი ებრძოდნენ მარქსისტულ მოძღვრებას, რომელიც გარეშე პირობებს უწევდნენ ყოველთვის ანგარიშს. თავის დროზე პლეხანოვი ამტკიცებდა თავის ნაწერებში, რომ ვერც ერთი აზრი, ვერც ერთი მისწრაფება ვერ გაიმარჯვებს, თუ სინამდვილეში ნიადაგი არ ექნება მომზადებულიო.

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის რევოლიუცია სავსებით ამართლებს ამ შეხედულებას. არ შეიძლებოდა არ დავეთანხმოთ, რომ დროებით მთავრობას, მეტადრე იქ შესულ სოციალისტებს დიდი სურვილი ქონდათ მშრომელი ხალხის სასარგებლოთ. მაგრამ ეს მათი სუბიექტიური მისწრაფება არ შეეფერებოდა გარეშე და შინაურ ეკონომიურ პირობებს. რა არ მოიგონა დროებითმა მთავრობამ, რა ზომებს არ მიმართა? ათასნაირი რჩევა, თათბირი... არ მოუხერხდა არაფერი.

რევოლიუციამ გაიარა მოკლე ხანში დაქანებული გზა. ბოლშევიკების [illegible] გამოსვლა არ ნიშნავდა რევოლიუციის აღმაფრენას. ეს იყო მისი დაქვეითების და დარღვევის მაჩვენებელი. ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, რადგან ხალხმა დაკარგა თვითმოქმედების იმედი, 25 ოქტომბერს 1917 წელს მუშათა კლასის შეგნებულ ნაწილს დაეკარგა გავლენა. ის აღარ იყო რევოლიუციის ხელმძღვანელი. ეს როლი გადავიდა შეუგნებელი, ფართო წრეების ხელში.

ბოლშევიკების გამეფება იყო რევოლიუცია სახელით და წმინდა ოპორტუნისტობა საქმით. მშრომელ ხალხს მაშინ არ იზიდავდა საბოლოო მიზანი. ის მისდევდა მარტო დღევანდელ დღეს. არ ეძებდა ეს ხალხი სოციალისტურ ედემს. ფიქრობდა მხოლოდ სადღეისო მოგებაზე. ეგონა ახლავე ვიშოვნი ყველაფერს რაც მე დღესვე მეჭირდებაო.

ეს ფართო წრეები მაცდურივით შეუჩნდნენ პოლიტიკურ პარტიებს:—თუ გინდათ ჩვენგან თანაგრძნობა, ჩვენი მიმდევრობა, მოახდინეთ სასწაული, გადააქციეთ ეს ქვა პურათ, და ვიცნობთ თქვენს მეუფებასო. სოციალისტებმა მიუგეს,—არა პურითა ერთითა ცოცხალ არს ადამიანიო... თუ დღევანდელი მოგება საბოლოო მიზანს დაგავიწყებინებს, რით გინდა ამისთანა მოგებაო. ფართო შეუგნებელ წრეებს, ყველას, ვინც მარტო პურით ცხოვრობს, არ მოეწონათ ეს პასუხი და თავი დაუკრეს ლენინს. ლენინმა ვერ გაუძლო მაცდურს და მოინდომა ქვის პურათ გადაქცევა. შეჰპირდა მაშინვე ზავის ჩამოგდებას და სხვა სადღეისო მოთხოვნების ასრულებას.

ლენინი თავის წიგნაკში „Удержат ли большевики государств. власть" („შეინარჩუნებენ თუ ვერა ბოლშევიკები სახელმწიფო მართვა გამგეობას") ძალიან იმედის თვალით უყურებდა თავის დაწყებულ საქმეს. ეგონა, ყველაფერი მის ნებაზე გაკეთდებოდა, დიდ წინააღმდეგობას არავინ გაუწევდა. ეს შეცდომა გამოჩნდა მეორე დღესვე. მაშინვე მტრობა იგრძნეს გარეშემო და სხვა ყველაფერი. გამოჩნდა მეორე შეცდომაც. ლენინმა კარგათ იცოდა, რომ ერთ ქვეყანაში და მეტადრე ასე ჩამორჩენილში არ შეიძლება სოციალიზმის აშენება. ის ფიქრობდა მთელ დასავლეთში ცეცხლის ანთებას. ჯერ კიდევ საზღვარ გარეთ ომის დროს რუსულ გამოცემებში ასაბუთებდა ახალ „რევოლიუციონურ თეორიას". ევროპა ჭაობში ჩაფლული, სოციალ-დემოკრატია გარყვნილია მთავრობებთან თანამშრომლობით, ახლა საჭიროა ახალი პარტია—პარტია კომუნისტების, ამ პარტიამ უნდა აიღოს რევოლიუციონური დროშა ჩამორჩენილ ქვეყანაში. ეს გააღვიძებს ევროპას და გამოიყვანს ბრძოლის ველზეო. ესეც უფრო სოციალისტ-რევოლიუციონერების თეორია იყო, ვიდრე მარქსისტების. ლენინმა ეს გადმოიტანა საზღვარ გარეთ ნაწერებიდან („Противъ теченія") რუსეთის სინამდვილეში. პირველი მუშათა საბჭოსავით, ამანაც მიმართა დასავლეთის მშრომელ ხალხს, მაგრამ როგორც ვიცით არავინ გამოეხმაურა.

შეცდომა ვის არ მოსვლია? შეცდნენ მარქსი და ენგელსიც. ელოდნენ სოციალურ რევოლიუციას თავის სიცოცხლეში, და არ აუსრულდათ მოლოდინი. მერე შეცდომა აღიარეს და თქვეს,— ახლა საჭიროა სხვანაირი მუშაობაო. ლენინს არ ეყო ამდენი გამბედაობა, ვერ დაამარცხა თავისი თავი, თავის დროზე უკან არ დაიხია, სხვა სოციალისტურ პარტიებთან თანხმობაში არ შევიდა.

სოციალ-დემოკრატები აძლევდნენ ასეთ წინადადებას: უნდოდათ შედგენილიყო ერთი მთავრობა სახალხო სოციალისტებიდან ბოლშევიკებამდის. ლენინმა მიიღო ეს ფორმულა, მაგრამ მოითხოვა, რომ შეერთებულ მთავრობაში ბოლშევიკებს ჰქონოდათ უმრავლესობა. თანხმობა არ მოხერხდა.

დემოკრატია გადავიდა რეაქციონურ ბანაკში. გაერთიანდნენ კოლჩაკთან, დენიკინთან შედგა ე. წ. აღორძინების კავშირი („Союзъ возрожденія"). აქ თავი მოიყარეს სოციალ-დემ-ტებმა მარჯვნიდან მარცხნივ. შევიდნენ მენშევიკებიდან და სოციალისტ-რევოლიუციონერებიდანაც რევოლიუციის შემოცვლა გარშემო უმრავლესობა.

მერე... წარმოების დარღვევა, მოქალაქეობრივი უფლებების გაუქმება—ყველა ეს შედეგი იყო პირველი შეცდომების. არის შეცდომა, რომელიც დანაშაულათ იქცევა ამა თუ იმ ისტორიულ ხანაში. ბოლშევიკებმა გაიარეს ეს ხანა. საშუალება მისცეს რეაქციას დემოკრატიული ლოზუნგებით გამოსულიყო. კოლჩაკ-დენიკინმა დროშაზე დაიწერეს დამფუძნებელი კრება. ამ გარემოებამ თვალი აუხვია ფართო წრეებს.

გააუქმეს თავისი პრინციპები ეროვნულ საკითხშიაც. ჯერ დროებით მთავრობას ებრძოდნენ და მის პოლიტიკას დაუპირდაპირეს ლოზუნგათ სრული თვითგამორკვევა და გამოცალკევებაც, თუ ამას მოინდომებს ესა თუ ის ერიო. როცა ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო, გამოაქვეყნეს „ახალი თეორია". თვით გამორკვევის უფლებას ჩვენ ვაძლევთ მარტო პატარა ერის მუშა-გლეხებსო. კითხვა იდგა მაგალითათ უკრაინის შესახებ. უკრაინელების აზრის გასაგებათ ისინი საჭიროთ არ ცნობდნენ იქ დამფუძნებელი კრების მოწვევას. თუ უკრაინული მუშა გლეხთა საბჭო მოინდომებს ცალკე არსებობას, ჩვენ დავეთანხმებითო. ეროვნების თვითგამორკვევა შეცვალეს მუშა-გლეხთა თვითგამორკვევით. უკრაინის მთავრობა დანიშნეს მოსკოვიდან. ეს ისეთი დამოუკიდებლობაა, როგორიც ქონდათ ძველ დროს გუბერნიის უფროსებს. თავის ნებაზე მეფობდნენ თავიანთ პროვინციებში.

აქაც რომ მოვიდნენ, იტყვიან, დამოუკიდებლობას მივცემთ საქართველოს, თუ ეს იქნება ადგილობრივი ხალხის სურვილიო. ხალხათ კი ისინი თვლიან მარტო თავის მიმდევრებს. გვეყოლება ქართული მთავრობა, მაგრამ ეს იქნება მოსკოვიდან მოსული.

განაპირა ქვეყნებში ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები სწერდნენ ხოლმე,—ბოლშევიზმი რუსეთს აერთიანებს, დიდ სამსახურს უწევს სახელმწიფოსო. ერთი მონარქიული გაზეთი, რომელიც ბოლშევიკების დროს ხარკოვში გამოდიოდა—მაშინ, სხვათა შორის ლიბერალურ და სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებს მოსპობილი ქონდათ არსებობის ნება—ქებით იხსენებდა ბოლშევიკებს. სახელმწიფოს გაერთიანება ისეთი საქმეა, რომ ეპატიებათ მათ ყოველნაირი დანაშაულიო. თვითონ ბოლშევიკები ივანე კალიტას ეძახდნენ თავიანთ თავს. ჩვენც ისე ვუყურებთ რუსეთს თავს, როგორც ამ ძველმა მეფემ მოუყარაო.

ეს არის დაპყრობითი პოლიტიკა—იმპერიალიზმი. იმპერიალისტებს ებრძოდნენ და თვითონ გაიმპერიალისტდნენ. მსოფლიოს დამორჩილებაც უნდოდათ. საბჭოთა მთავრობა დიქტატურის ეროვნული სახეა, შეიძლება სხვაგან სხვა სახე გამოჩნდეს, მაგრამ უკეთესი იქნება მშრომელი ხალხისთვის თუ ყველგან გაიმარჯვებს ჩვენი ეროვნული სახეო. ეს იყო პირუკუღმა გადაბრუნებული ძველი სლავიანოფილობა. Ex oriente lux—სინათლე აღმოსავლეთიდანო. ძველი სლავიანოფილები მთელ ქვეყანას აწვდიდნენ თვითმპყრობელობის სინათლეს. ლენინის მიმდევრები აწვდიან კომისართ მთავრობის სინათლეს. როცა წითელი რაზმის წლის თავს დღესასწაულობდნენ, ქუჩებში დაინახავდით ერთათ მარქსის და ტროცკის სურათებს. წითელ რაზმს ეძახდნენ დასავლეთის მუშათა კლასისას, „წითელი რაზმით საქვეყნო კომუნიზმისკენო"—სწერდნენ.

დენიკინის ჯარიც იმპერიალისტობდა ბოლშევიკებთან ბრძოლაში. რუსეთმა გადაარჩინა დასავლეთი თათრებისაგან, ახლა უნდა გადაარჩინოს ბოლშევიკებისაგანო. დენიკინის გარშემო თავმოყრილ ინტელიგენციას სწამდა, რომ ეს ჯარი აიღებდა რუსეთს და გაანთავისუფლებდა მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს. ამ სამსახურისთვის მოითხოვდნენ სტამბოლს და მის ახლო მახლო წყლებს. გამოიღეს სადღაც ყუთში დამალული მილიუკოვის პროგრამა.

რევოლიუციამ დაგვიტოვა მემკვიდრეობით ეს ორი იმპერიალიზმი, ეს ორი რეაქციონური ძალა. რუსეთი ზღაპრულივით დარჩა ორი აქეთ იქით მიმავალი გზის კუთხეში. აქეთ წავა, კლდეზე გადავარდება, იქით წავა, ზარალი მოუვა. მოუვიდა კიდევაც.

სინათლე უნდა შემოუშვათ ისევ დასავლეთიდან. იქიდან უნდა მოეფინოს მოძრაობას მარქსისტული სხივი. ძველი და ახალი სლავიანოფილობა დამარცხდა.

მარქსის დაბადების ასი წლის თავზე რუსეთის ერთ იუმორისტულ ჟურნალში მოათავსეს მისი ორნაირი სურათი. ერთი იყო წითელი, ქვეშ ეწერა: „დაიბადა გერმანიაში 1818 წელს". მეორე იყო შავათ, ქვეშ ეწერა: „დაასაფლავეს რუსეთში 1918 წელს".

რუსეთის რევოლიუციამ 25 ოქტომბერს აქეთ დამარხა მარქსიზმი, დაამარცხა, მაგრამ ეს დამარცხებაა მისი საუკეთესო გამარჯვება.

ს. დევდარიანი.

თავისუფლების შობა

1917 წელს, თებერვლის 27 (ძველი სტილით) იშვა რუსეთის დიადი თავისუფლება. ამ დღეს მოკვდა რუსეთის უსაშინლესი მტერი—თვითმპყრობელობა! ამ დღეს გადაიცვალა სამასი წლის ბებერი, რომელიც თავის მწვეტიანი და დაჩონჩხილი ხელებით მთელი საუკუნოების განმავლობაში სულს უხუთავდა მილიონ ხალხს.

ამ დღეს ამოვარდა საშინელი, ძლიერი გრიგალისებური სტიქია, მოიცო რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეს და მის ტალღათა სრბოლამ შთანთქა ნაშთი ძველი წყობილებისა.

ამ დღეს დაიწყო ნგრევა-შენების უდიდესი პროცესი, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა.

ამ დღეს გამოვიდა ჯარი ყაზარმებიდან იარაღით ხელში და გამოვიდა არა დასახვრეტათ ხალხის, არამედ მის და-

დღეს

ბოლშევიკების ცნობით სრუტეების და შავი ზღვის ხელში ჩასაგდებათ ინგლისი 80 ათასი კაცისაგან შემდგარ ჯარს ადგენს.

ჩერჩილის განცხადებით დენიკინის ჯარში 2 თებერვალს იმყოფებოდა ბრიტანეთის 394 აფიცერი და 7,429 სხვა თანამდებობის პირი.

იტალიის მოთხოვნით და ინგლის-საფრანგეთის თანხმობით რუმინეთის და ჩეხო-სლოვაკიის საზღვრები უნგრეთის სასარგებლოთ იქნა შეცვლილი.

შვეციაში ახალი კაბინეტის შედგენა დემოკრატიული პარტიის ბელად ბრანტინგს მიენდო.

სახმარებლად; არა ბრძანებით, არამედ საკუთარის თაოსნობით.

ამ დღეს გაიბა პირველი ძაფი თავისუფლების, კავშირი ჯარის და ხალხის. ჯარმა იგრძნო მოვალეობა, ხალხმა დაჰკარგა მისდამი შიში და მძულვარება. მოხდა დაძმობილება და აქედან იშვა უდიდესი თავისუფლება.

ამ დღეს ვეზიარეთ ახალ ცხოვრებას; ვიხილეთ მზე დიდებული, ვეწაფეთ წყაროს უზომო სიხარულისას.

ამ დღეს იგრძნო დემოკრატიამ თავის ძალების მთლიანობა, მისი სიძლიერე, მისი სიმტკიცე და უძლეველობა; იგემა ის, რისთვისაც მრავალ წლობით იბრძოდა და იტანჯებოდა. ეს დღე მისი უდიდესი გამარჯვების დღესასწაულია. მისი ბრძოლის შედეგის აპოთეოზია!

ამ დღეს ის სათავეში მოექცა საერთო მოძრაობას, შემოიკრიბა ყველა სასიცოცხლო და სამერმისო ძალები და ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა.

ამ დღეს წამოაყენა მან თავის პირველი და უდიდესი მოთხოვნა: სრული თავისუფლება, დამფუძნებელი კრება, [illegible] უფლება. მან აიღო ხელში ეს მარჯვე და მახვილი პოლიტიკური იარაღი რომ მისი საშუალებით განეხორციელებინა ყველა ის სოციალური და ეკონომიური გარდაქმნანი, რომლისაკენ ის ილტვოდა და რომელიც შესაძლებელი იქნებოდა არსებულ ურთიერთობაში.

დროთა ტრიალმა, მოძრაობის მღელვარე ზღვამ ეს სწორი და სალი გზა გაამრუდა; დიდი რევოლუცია სამარის კარს მიიყვანა. მაგრამ, ერთხელ შობილი, შობილი უდიდეს ტანჯვა-წამებაში, ის არ გაქრება ასე ადვილათ. ცვალებად ბედის განვლილი ბილიკს იგი კვლავ აინთება და ახალი ქვეყნის ახალ ცხოვრებას მტკიცე და ურყევ საფუძვლით დაედება.

დღეს კიდევ წლის თავია ჩვენი დამფუძნებელი კრების. რუსეთის რევოლუციის ტალღიდან იშვა ახალი საქართველო; საქართველომ შვა დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრება—ეს სადი გამოხატულებაა რევოლუციის სადი მსვლელობის, ის განსახიერებაა რევოლუციის, ის მეფეა ხალხის წმინდა ზრახვათა, ის ბატონია ჩვენი პატარა ქვეყნის. მას ნიადაგი მოუმზადა თვით რევოლუციამ, ახლა ის თვით ჩაუდგა რევოლუციას სათავეში, უძღვება წინ მის შემდეგ განვითარებას, დამთავრებას, დამწიფებას, მის მიზანთა განხორციელებას...

დღევანდელი დღე დღესასწაულია დემოკრატიის ბრწყინვალე გამარჯვებისა. ეს დღე გააძხნევებს ჩვენს დემოკრატიას და ის მტკიცეთ და შეუპოვრათ გასწევს წინ, წინ საუკეთესო მერმისაკენ, მის საბოლოვო იდეალისოციალიზმისაკენ!..

და, ეს დიადი დღე იყოს თავდები ჩვენი იდეალების საბოლოვო გამარჯვებისა...

განი.

რევოლუციის სამი წლის თავი

(ემიგრანტის მოგონება)

„დღის მერცხალი შემოფრინდა,
შეჰკივლა, შემომძახა,
გაზაფხული, გაზაფხული
გულს იმედი დამესახა"...

ასრულდა პოეტის სიტყვები... ნაყოფი მოიტანა [illegible] რევოლუციონერთა სიზმრებმა...

სამშობლოს გარეთ გარდახვეწილთ, ერთ მშვენიერ დღეს, მერცხალმა მართლაც გადმოგვძახა: გაზაფხული, გაზაფხულიო და გულს იმედი ჩაგვესახა.

რუსეთის რევოლუციის ამბავმა მესამე დღეს მოაღწია შვეიცარიის ერთ პატარა ქალაქ ვინტერტურში, სადაც იმ დროს ვცხოვრობდი...

თვალწინ მიდგას ის დილა... საუზმოზე მივეჩქარები. მეგაზეთეები, როგორც ყველგან, აქაც დილა ადრიან [illegible] ქუჩაში დაიხვევიან.. დღეს არა ჩვეულებრივის ენერგიით ყვირიან: „რევოლუცია რუსეთშიო". გაზეთი ვიყიდე.. მარა თვალებს არ უჯერებ... პეტროგრადში ჯარის აჯანყებამ და მუშებმა ჩამოაგდეს თვითმპყრობელობის მებაირახტრე ნიკოლოზ, და მის ალაგას დროებითი მთავრობა დასვესო... კითხულობ და არ გჯერა... თავი სიზმარში გგონია. ვყიდე მეორე, მესამე გაზეთი... ყველგან არის ეს გულის გამხარებელი ამბავი...

მეორე მესამე დღეს ეს სასიხარულო ამბავი მტკიცდება... ახლა უკვე გაზეთები სხვადასხვა კომენტარია-ახსნას უკეთებენ,

უცბათ შვეიცარიის პრესამ გამოიცვალა კილო. წინათ თუ რამდენიმეთ აღკრძალულიც კი იყო ნიკოლოზის წინააღმდეგ წერა, რა არის ჩვენი ნეიტრალობა არ დავარღვიოთო, დღეს უკვე ალაგალ ეროდებიან. ახლა ნიკოლოზის არავის ეშინია. ახლა მთავრობას ქება-დიდებით იხსენიებენ...

შეინძრა მთელი შვეიცარიის ემიგრანტები, შესდგა კომიტეტები რომელთაც უნდა მოეწყოთ ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების საქმე. წამოსვლის სურვილი დიდი იყო, მარა ასრულება არც ისე ადვილი.

საფრანგეთ-ინგლისი არ აძლევდენ, არა პატრიოტ სოციალისტებს, თავის ტერიტორიაზე გადასვლის ნებას...

ლენინმა ოცდა ათი ამხანაგით მოახერხა გერმანიით წამოსვლა. მაგრამ ამ გარემოებამ ააშფოთა მთელი ქვეყანა.

გერმანია თანახმაა რუსეთის სხვა ემიგრანტებიც გადაგვატაროს თავის ტერიტორიაზე, თუ რუსეთი სამაგიეროდ მისცემს მას ამდენსავე ტყვე გერმანელს...

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ... წამოსვლა აუცილებელია, მარა არ გვინდა ლენინის ბედი გვეწვიოს. დავეკითხოთ რუსეთის დროებით მთავრობას... [illegible] პირველად მილიუკოვმა უარი განაცხადა.

დავეკითხეთ ამხანაგებსაც რუსეთში, კავკასიაში წამოვიდეთ გერმანიით თუ არა. და დასტურის დაკვრის შემდეგ გამოვემგზავრეთ. პირველ რიგში მოვემდით ორას სამოცი კაცი.

მაისის პირველ რიცხვებში საგანგებო მატარებლით გამოვემგზავრეთ ციურიხიდან, სადაც თავი მოიყარეს მთელი შვეიცარიის ემიგრანტებმა. გამოცილება იყო არა ჩვეულებრივი, ზღაპრული...

დავსტოვეთ შვეიცარია და გადმოვედით გერმანიის ტერიტორიაზე.

ჩვენი ვაგონის კარები და ფანჯრები დაკეტილი იყო და გარებას უფლება არ გვქონდა.

გერმანიის მთავრობას შიში ქონდა რუსეთის რევოლუციონერებმა არა მოაწამლონო; მაგრამ მაინც ვასწრობდით აქა იქ თითო ორიოდე სიტყვის გადატყორცნას.

მატარებელი სულ ჩქარა მოდიოდა, ხოლო ჩვენი სული, მისწრაფება უკვე რუსეთში იყო. გერმანიის ტერიტორია სამ დღეში გავიარეთ. სადგურებზე თბილ წყალს და სხვებსაც კაიზერის მთავრობა გვაძლევდა, თუმცა სანოვაგე ჩვენც ბლომად გვქონდა წამოღებული...

გერმანიიდან შვეციაში უნდა გადავსულიყავით. აქ ექვსი საათის გზა ზღვით მოგვიხდა მგზავრობა. აქ ცოტა არ იყოს შიში ვნახეთ ზღვაში ხშირად ასაფეთქებელი მინები გვეგულებოდა, თან ზღვაც ღელავდა, მაგრამ სიხარული, თავისუფლება ყველაფერს გვავიწყებდა.

ასე გადავლახეთ შვეცია შემოვუარეთ ბოტანიჩესკი სრუტეს და მივადექით ფინლიანდიის სამზღვარზე ქალაქ ტორნეოს, სადაც იმ დროს, შუა მაისში დღე და ღამე ერთი იყო.

ერთი კვირაც ფინლიანდიაში მოუნდი მგზავრობას და თავისუფალ პეტრეს ქალაქში ამოვყავი თავი.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ შვეციაში იქაურმა ამხანაგებმა დიდის ამბით მიგვიღეს, გამოგვაცილეს და პატივიცა გვცეს. ამასვე ვერ ვიტყვი ფინლიანდიის შესახებ, სადაც მატარებელიც ხშირათ ფუჩქდებოდა, და ამხანაგები ორთქლმავალზე მეგზავნიდენ—მემანქანე ხარ, გააქეთე, ჩქარა წაგვიყვანეო.

პეტროგრადში მაშინ უკვე კერენსკი წერეთლის მთავრობა დაგვხვდა...

რუსეთში დაბრუნებისას პირველ დღეებშივე ემჩნეოდა, რომ რევოლუცია არა სასურველი გზით ეპირებოდა წინ სვლას.

კომუნისტების სულის კვეთება ჩვენ ჯერ კიდევ საზღვარ-გარეთ ვიგემეთ.

გზაშიც, მათთან კამათის დროს, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს ჩვენი ყოფილი ამხანაგები ჩვენს პარტიას, სოციალ-დემოკრატიას, ჩამოშორდენ. რუსეთში ხომ მათი სულისკვეთება რევოლუციის პირველ დღეებშივე გამოირკვა...

ოთხი წლის ომით დაუძლურებულ რუსეთს ესაჭიროებოდა დასვენება, დამშვიდება.

მას კი ეძახდენ ხელ ახალი არეულობა-ანარქია, სამოქალაქო ომისაკენ.

მიზანსაც მიაღწიეს და აი კიდევ სამი წელი რუსეთი უარეს ომში, უარეს სატანჯველში იმყოფება.

რუსეთის ხალხი ეს სამი წელია ტირის, სისხლისაგან იცლება. ხსნა კიდევ არსადან ჩანს.

განაპირა ქვეყნები ასე თუ ისე უკეთესს პირობებში არიან და იმიტომ რომ პატარა ერების დემოკრატიამ უფრო სწორი ხაზი აიღო. მართალია ეკონომიურმა გაჭირვებამ არც ჩვენ დაგვტოვა უყურადღებოდ, მარა შედარებით დიდ რუსეთთან ჩვენში ბევრად უკეთესია.

სამწუხაროთ ჩქარა დავივიწყეთ რა იყო ამ სამი წლის წინად და რა აუტანელ გაჭირვებაში ვიმყოფებოდით. დღეს როცა გვაქვს [illegible] და თავს ისევ ისე ძველებურად უბედურად ვგრძნობთ...

ე კი არ შეჰფერის ნამდვილ დემოკრატიას. „ვერ გასტეხს ქვასა მაგარსა, ურდუმლი, ტყვიისა რბილისაო".

ეს ეკონომიური შევიწროება დროებითია, წარმავალია, ხოლო ძმობა ერთობა და თავისუფლება კი სამუდამოა, ძვირფასია.

ამიტომ ამ სამი წლის თავზე ჩვენი განმათავისუფლებელი რევოლუციისა ისევ დავიფიცოთ და მედგრად შემოვძახოთ: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის მებაირახტრე დემოკრატიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას!

ნეტარხსენება თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებს!

ს. დოლიძე.

რუსეთის რევოლუციის სამი წლის თავი

თუ რომელიმე ხანას აქვს თავისი ისტორიული წელთ აღრიცხვა, თუ მსოფლიოში კაცობრიული რამ გაკეთებულა და ხალხის წინმსვლელობისათვის მას რამ სიკეთე მოუტანია,—მაშინ რუსეთის დიდ რევოლუციასაც უნდა ჰქონდეს თავისი დროის ისტორიული წელთ-აღრიცხვა და უნდა იქნეს ის უაღრესათ რუსეთისა და მის ყოფილ მიწა წყალზე მცხოვრებ ხალხთა კეთილდღეობის და განკაცების დღესასწაულად აღიარებული. და აჰა! დღეს ჩვენც ნორჩი, მაგრამ ხალხის უმრავლესობის ნების [illegible] საქართველოს დემოკ. სახელმწიფო მუხლს ვიდრეკთ მის წინაშე, მესამე წლის თავზე,—ვიგონებთ რა რუსეთის დიდი რევოლუციის სასწაულმოქმედ და შარავანდედით მოსილ ძლევა მოსილებას. ქედს ვიხრით მის გმირთა პატივსაცემლად!—დღევანდელი დღე ჩვენთვის უდიდესი დღესასწაულია,—ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს პროლეტარიატთან ერთად მთელი ერი ემსახურება იმ დიდს მონაპოვარს, რომელიც მოგვცა 1917 წელმა 12 მარტის დიდმა რუსეთის დიდმა რევოლუციამ!

მართალია, დღეს რუსეთის ტერიტორიაზე (მიწა წყალზე) მრავალს მწუხარებას აქვს ალაგი, რომელიც უმთავრესათ გამოწვეულია სამოქალაქო ომებით, რასაც მომავალი თაობა წყევა-კრულვით მოიხსენიებს მისს გამომწვევთ, მაგრამ ერთი კი აშკარაა. რუსეთში ძველი ფეოდალური ბატონ-ყმური ფესვები უკვე დიდი რევოლუციის წყალობით გამხმარია,—ის ვეღარ გაიხარებს და თუ განახლებულმა რუსეთმა ევროპისაკენ გაიხედა, ეზიარა მას განათლებით —მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: „მიზანი მიღწეულია". მაშინ რუსეთში შეიქნება ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო, აყვავდება წარმოება, რაც მოცემული იქნება ახალი ქვეყნის „აღთქმულ ქვეყანაში" სოციალიზმში შესვლისა, და ჩვენც საქართველოს ხალხი მათთან ერთად დემოკრატიული წყობილებით გავსწევთ საერთაშორისო საკაცობრიო სოციალისტურ ქვეყნისკენ.

გაუმარჯოს რუსეთის დიდი რევოლუციის სამი წლის თავს. გაუმარჯოს სოციალიზმს!

მუშა დ. ი. ლორთქიფანიძე.

დიდი რევოლუციის — სამი წლისთავი

დღესასწაულის წეს-რიგი.

12 მარტს, დილის 9 საათზე ყველა კავშირების წევრები იყრიან თავს მუშათა სასახლის წინ, სადაც სიტყვას წარმოსთქვამენ პროფ. კავშირების წარმომადგენელი რუსულად და საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ს. დევდარიანი ქართულად. აქედან გაემართებიან თავისუფლების მოედნისკენ დამფუძნებელი კრების წინ სიტყვით მიმართავენ მუშებს, ჯარს და გვარდიას ნოე ჟორდანია, ალ. ლომთათიძე და ვალიკო ჯუღელი. დემონსტრაცია გაემართება ნაძალადევში, რევოლუციის მოედანზე, ვორონცოვის ხიდით, ჩერქეზოვის ქუჩით, სადაც გაიმართება დიდი მიტინგი. ილაპარაკებენ: ევგენი გეგეჭკორი, აკ. ჩხენკელი, გრ. ლორთქიფანიძე, გრ. გიორგაძე და ყველა ფრაქციის წარმომადგენელი.

საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში გაიმართება მიტინგი, სადაც დაესწრებიან მუშათა დეპუტატების საბჭოს, პროფესიონალური კავშირის გამგეობის და საქარხნო კომიტეტების წევრები. მოხსენებას გააკეთებენ ნოე ჟორდანია და ვალ. ჯუღელი.

დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე გვარდია და ჯარი.

რევოლუციის დღის მომწყობი კომიტეტი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

11 მარტი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ერთა ლიგის გარშემო.

(დასაწყისი არ მიგვიღია). თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ ერთა ლიგის მთელი სტრუქტურა დამყარებულია მეათე მუხლზე.

ფრანგი აფიცრების შეურაცხყოფა.

რამდენიმე ფრანგ ოფიცერს შეურაცხყოფა მიაყენეს სასტუმროში მომსვლელებმა, რომელთა შორისაც იმყოფებოდა პრუსიის პრინცი იოახიმ ალბერტი. დღისით გერმან მინისტრმა საფრანგეთის საქმეთა ვექილს მარსილის გამოუცხადა თავისი მწუხარება და სთხოვა მას ეს საფრანგეთის მთავრობისათვის გადაეცა.

ახალი კაბინეტი შვეციაში.

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით მეფეს ბაასი ჰქონია შვეციის დემოკრატიულ პარტიის ბელად ბრანტინგთან. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ შემდეგ ბრანტინგს კაბინეტის შედგენა მიანდვეს.

ინგლისური პრესის ცნობები.

(ბასრადან)

პრეზიდენტი ვილსონი.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: უკანასკნელ თავის ავადმყოფობის შემდეგ პრე-

---

ვინ გამართლდა?

(რუსეთის რევოლუციის სამი წლის შესრულების გამო)

დღეს შესრულდა სამი წელი მას შემდეგ, რაც იფეთქა რუსეთის დიდმა რევოლუციამ. ამ სამი წლის განმავლობაში რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ფარგლებში მოხდა ისეთი ამბები, ისეთი გადატრიალებანი, ისეთი რღვევანი და ღრმა ცვლილებანი ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ შეჯგუფებისა, რაც ჩვეულებრივ [illegible] მთელი საუკუნეები მოუნდებოდა. რევოლუციის ამპლიტუდა იმდენათ ძლიერი და ღრმა აღმოჩნდა, რომ ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობა თავის უკანასკნელ უფსკრულამდი შეარყია, მისი ინერცია იმდენათ სტიქიური და შეუჩერებელი იყო, რომ მთელს იმპერიაში არ აღმოჩნდა ის სოციალური ძალა, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივ მასშტაბში შეეჩერებია მისი ბრმა სრბოლა, მისი დამრღვეველი ინსტიქტები, რომ ესარგებლა მისი შემოქმედებითი და აღმაშენებლობითი თვისებით.

და დაირღვა მთელი. მოხდა საზოგადოებრივ ძალთა დაქსაქსვა. გაიმარჯვეს რევოლუციის დამრღვეველმა ძალებმა საადმშენებლო ძალებზე. დღეს რუსეთის თებერვლის დიდი რევოლუციას ორი მემკვიდრე ჰყავს: ცენტრალური რუსეთი და განაპირა, ეროვნულათ თვით გამორკვეული ქვეყნები. პირველში ლამის არის ჩაიდუპოს რევოლუციის ნაშთი ანარქიისა და რეაქციის მორევში, მეორეთა უმრავლესობა თავისებურათ აწყობს დღეისა და ხვალის ცხოვრებას რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ. აქ პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. საბჭოთა რუსეთი და დემოკრატიული საქართველო—აი განსახიერება და გამოხატულება ყველა რევოლუციის, ყოველგვარი დიდი საზოგადოებრივი გადატრიალების ორმაგი ბუნების—ბრმა, სტიქიური რღვევა-ნგრევისა და შემოქმედებით აღმშენებლობისა.

რევოლუციის სამი წლის თავზე ზედმეტი არ იქნება ერთის თვალის გადავლებით გადავხედოთ ამ მოკლე, მაგრამ უმდიდრეს ისტორიას, გავიხსენოთ საერთო პრინციპი, შინაარსი რევოლუციისა. გავიხსენოთ ორი მთავარი იდეური რევოლუციური მიმდინარეობა, მათი შეტაკება, რით გათავდა ეს ბრძოლა; დავაკვირდეთ იმ ტენდენციებს, რომლებიც ამ ბოლო დროს ახასიათებენ საბჭოთა რუსეთს და მაშინ შევძლებთ მივუგოთ საინტერესო კითხვაზე—ვინ გამართლდა?

ვეცადოთ ძალიან მოკლეთ გავსცეთ პასუხი დასმულ კითხვებზე.

მთავარი საკითხი, რომელიც იდგა რევოლუციის წინ, იყო საკითხი რა ხასიათის უნდა ყოფილიყო რუსეთის დიდი რევოლუცია. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე იყო დამყარებული რევოლუციის ბედი, მისი ხელმძღვანელ პარტიათა სამოქმედო ხაზი. ბურჟუაზიული იქნება, თუ სოციალისტური რუსეთის მომავალი რევოლუცია—ამ საკითხის შესახებ მსჯელობა და კამათი მარქსისტთა წრეებში ჯერ კიდევ რევოლუციის დაწყების დიდი ხნით წინ სწარმოებდა. უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ პრინციპიალური სხვა და სხვა შეხედულება არ ჰქონია რუსეთის ს. დემოკრატიის ორ მთავარ ფრაქციას—მენშევიკებს და ბოლშევიკებს. ამ უკანასკნელებს იმ დროს აზრადაც არ მოსდიოდათ ის, რაც შემდეგ სთქვეს და მოიმოქმედეს. ამ შემთხვევაში რუსეთის ს. დემოკრატიის წრეები ასე თუ ისე მთელი ხაზით იდგნენ წმინდა მარქსისტულ ნიადაგზე, ყველა ასე თუ ისე გამოდიოდა ჩვენი საერთო მსოფლმხედველობის ისტორიაზე მატერიალისტურ შეხედულებისაგან. საერთოდ ყველა მარქსისტი იმ აზრის იყო, რომ მომავალი რუსეთის რევოლუცია თავისი ობიექტიური პირობების მიხედვით ვერ გადასცილდება კაპიტალისტურ საქონლურ წარმოების კერძო საკუთრების ფარგლებს. ყველაფერი ეს მარქსისტული მეთოდის საშუალებით გარკვეული იყო და ამაზე დიდი ლიტერატურა არსებობდა.

ამიტომ ბევრი ფიქრობდა, რომ, რადგან წინ მავალ რევოლუციის იდეურ-ტაქტიკური ხელმძღვანელობა უნდა ეკისრა მეცნიერულ სოციალიზმზე აღზრდილ და გამოწრთვნილ სოც.-დემოკრატიას, ეს რევოლუცია წავიდოდა ნაკლებ სიძნელე ხაზით, მას ექნებოდა მეცნიერული—მეთოდიური ხასიათი და უშედეგო ძალთა ხარჯვას, ისტორიულ შეცდომებს თავიდან აიცილებდა. ასე ფიქრობდა, სხვათა შორის, კ. კაუცკი ერთს თავის წერილში, რომელიც უძღვნა რევოლუციას მის დასაწყისში.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რუსეთის ცხოვრების სტიქიური სინამდვილე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ მეცნიერული ეს სურვილები. იფეთქა თებერვლის რევოლუციამ და მან თან მოგვიტანა ბევრი მოულოდნელობა. რევოლუციის პირველ დღეებშივე აშკარათ იჩინა თავი ორმა მიმართულებამ, რომელთაც უნდა ეკისრა იდეურ-ტაქტიკური ხელმძღვანელობა რევოლუციისა. ეს იყო ერთი მხრით თავის ნაცად მეცნიერულ, მარქსისტულ პოზიციაზე მტკიცეთ მდგომი მენშევიკური სოც.-დემოკრატია და მეორეს—ამ თავითვე მეცნიერულ სოციალიზმის პოზიციიდან წასული, რევოლუციის ბობოქარი ტალღების მიერ აღტაცებული ბლანკისტური ბოლშევიზმი. აი ეს ორი მიმართულება — მეცნიერულ-ისტორიული, მარქსისტული—და ბუნტარული, ნახევარათ ანარქისტული შეეტაკა ერთი მეორეს სასტიკათ. რევოლუციის მთელი ისტორია ოქტომბრის გადატრიალებამდე არის ისტორია ამ ორი უმთავრეს მიმართულების ბრძოლისა. რაში იყო საქმე?

რევოლუციის დასაწყისიდანვე მთელი თავის სიცხოველ-სიგანით იჩინა თავი ძირითადმა საკითხმა რევოლუციის ხასიათის შესახებ. თუ რომელი მიმართულება როგორ უყურებდა და სჭრიდა ამ მთავარ საკითხს, იმაზე იყო დამოკიდებული მათი საერთო სამოქმედო ხაზი. რევოლუციამ მთელი თავის ძლიერებით გამოაშკარავა იდუმალი ბუნება ს.-დემოკრატიის ბოლშევიკურ ფრაქციისა, რომელიც მანამდი დაფარული იყო ბევრი მიზეზთა გამო, თუმცა ბევრი დაკვირვებული მენშევიკი მაშინაც სჭვრეტდა ამ ბუნებას. აქ გამოაშკარავდა, რომ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის მარტო ტაქტიკური განსხვავება არ ყოფილა, როგორც ბევრი ფიქრობდა, არამედ იყო განსხვავება ძირითადი, პრინციპიული, რომელსაც სავსებით ახადა ფარდა თებერვლის რევოლუციამ.

მაშინ, როდესაც მენშევიკური სოც.-დემოკრატია ოდნავადაც ვერ შეარყია თავის მეცნიერულ პოზიციაზე რევოლუციის ქარიშხალმა, ვერ შეარყია მისი ძველი ჭეშმარიტი შეხედულება რუსეთის რევოლუციაზე, ბოლშევიზმმა დასტოვა ის გზა, მას თავბრუ დაახვია რევოლუციის სირთულემ, ფეხი ვერ შეიკავა მარქსისტულ ნიადაგზე და ბრმა სტიქიურ ძალების ზეგავლენით შეიმუშავა სულ სხვა შეხედულება რევოლუციაზე და მის მიხედვით იწყო მოქმედება.

ზევით დასახელებულ გადამჭრელ საკითხში ბოლშევიკები გადატრიალების პირველ დღეებიდანვე ერთის დაკვრით მოსწყდენ მარქსიზმს, მეცნიერულ სოციალიზმს, გამოეთხოვენ ისტორიულ მატერიალიზმს, დაჰკარგეს სოც.-დემოკ. სახე. მათ, ლენინის მეთაურობით განაცხადეს, ხელ ახლით შეითვისეს ის შეხედულება, რომ რუსეთის რევოლუცია მიისწრაფის სოციალისტურ გადატრიალებისაკენ. „რევოლუციას ახლა ამაზე გაჩერება არ შეუძლია, რადგან ქვეყანა წინ წავიდა, კაპიტალიზმმა წინ გადადგა ნაბიჯი, უმაგალითოთ გაიზარდა სიღატაკე, რომელიც მოითხოვს ნაბიჯს წინ, სოციალიზმისაკენ, რადგან სხვა გზით გადაარჩენა ქვეყნის, ომისაგან განადგურებულის, სხვანაირათ შემსუბუქება მშრომელთა ტანჯვისა, შეუძლებელია" (ლენინის სიტყვები) ეუბნებოდენ ბოლშევიკები ხალხს. მასიური სიღატაკე, ომისაგან განადგურება, ხალხის უკმაყოფილება—ყველა ეს თავდებია იმის, რომ რუსეთის რევოლუცია გარდაიქმნება სოციალისტურ გადატრიალებათ, ყოველ ჯვარედინზე გაიძახოდენ ბოლშევიკები.

დაუყოვნებლივ სოციალიზმი, მის განსახორციელებლად პროლეტარიატის დიქტატურა, გზა ამ უკანასკნელისაკენ კი მთელი ძალა უფლება საბჭოებს.—აი ბოლშევიკთა სამოქმედო ხაზი, გამომდინარე მათ მიერ შეთვისებულ ახალ შეხედულებისაგან. იმ დღეს, იმ წუთში, როგორც მათ პირველათ გადაისროლეს ლოზუნგი „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს", მათ უარყვეს სოც.-დემოკრატიის ძველი შეხედულება, მიიღეს სოციალურ რევოლუციის იდეა. აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ. როგორც ვიცით, ბოლშევიკები დღეს, შეიძლება ითქვას ერთათ ერთ იმედს ამყარებდენ ევროპის რევოლუციაზე. მათი აზრით ეს რევოლუცია უსათუოდ უნდა ყოფილიყო სოციალისტური და დღეს არა, ხვალ მაინც უნდა მომხდარიყო. ამაში ისინი ისე იყვნენ დარწმუნებული, თითქოს ევროპის ეს რევოლუცია ხელში ქონებოდათ და შინ სოციალისტურ გადატრიალების რისკს მისი იმედით სწევდენ. ყოველივე ამას, როგორც ვიცით, ბოლშევიკები სარწმუნოებრივი ფანატიზმით იცავდენ, არ ითმენდენ არავითარ მეორე აზრს, სხვანაირათ მოაზროვნე—ხალხის მოღალატეთ მიაჩნდათ.

როგორც ვთქვით, მენშევიკური სოც. დემოკრატია შეურყევლად იცავდა ათეულ წლების თეორიულ მუშაობით შემუშავებულ შეხედულებას რუსეთის რევოლუციის ხასიათზე. ეს შეხედულება ასე გამოიხატებოდა: ეს რევოლუცია თავის ისტორიულ ეკონომიურ პირობების მიხედვით უნდა ყოფილიყო თავიდან ბოლომდი ბურჟუაზიულ დემოკრატიული. მაგრამ ამ ტერმინზე ცოტა უნდა შევჩერდეთ.

საქმე იმაშია, რომ, როგორც ვიცით, რევოლუციის ბურჟუაზიულათ დასახვამ სოც. დემოკრატიის მიერ დიდი სადემაგოგიო საბაბი მისცა ბოლშევიკებს ხალხში გავლენის მოსაპოვებლათ. ისინი ხალხს ეუბნებოდენ—მენშევიკებს „ბურჟუების" გაბატონება სურთ მთავრობაში, როდესაც ამტკიცებენ, რომ რევოლუცია ბურჟუაზიულიაო. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, რას ნიშნავდა ეს მცნება მარქსისტების ხელში. როდესაც სოც. დემოკრატია ამტკიცებდა, რომ რევოლუციას აქვს ბურჟუაზიული შინაარსი, ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა იმას, რომ მომავალ რუსეთის განახლებულ სახელმწიფოს სათავეში უსათუოდ მოექცეოდა [illegible] ბურჟუაზიული არისტოკრატია, რომ ის იქნებოდა მისი კლასობრივი ბატონობის ორგანო. არა მარქსისტების ამ მცნებას „ბურჟუაზიულს" ქონდა უფრო მეცნიერულ-ეკონომიურ-იურიდიული შინაარსი. ეს ნიშნავდა იმ უდავო, ერთადერთ სოციოლოგიურ დასკვნას, რომ რევოლუცია, გამოსული რუსეთის თვითმპყრობელ თავად აზნაურულ წყობილების წიაღიდან, ვერას დროს ვერ გასცილდებოდა ფულის და საქონლის მეურნეობის, როგორც საწარმოვო წესის, ფარგლებს, რომ ვერ მოსპობდა კერძო საკუთრებას, როგორც მთავარ ეკონომიურ მოვლენას. აი რას ნიშნავდა ცნება „ბურჟუაზიული რევოლუცია" მარქსისტულ დემოკრატიისთვის.

სოც.-დემოკრატიის მწერლები და პრესა დაჟინებით უმტკიცებდენ ნიადაგ დაკარგულ ბოლშევიკებს, რომ რუსეთის სინამდვილეს არ მიჰყავდართ სოციალიზმისაკენ დაუყოვნებლივ, პერმანენტულათ, რომ აქ არ შეიძლება მოხდეს სოციოლოგიური სასწაული—ერთის დაკვრით თავად-აზნაურულ თვითმპყრობელობიდან სოციალიზმის სამეფოში გადახტომა განვითარებულ კაპიტალიზმის გვერდის ავლით, ისიც მაშინ, როდესაც მოწინავე ევროპას არ ეთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა ამ მხრით. ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია დამღუპველია დაეყრდნოთ არ არსებულ ფაქტს, საპასუხისმგებლო ნაბიჯები შეუფარდოთ პრობლემატიურ, სადავო სოციალურ რევოლუციას ევროპაში. ამტკიცებდენ, რომ ეკონომიურათ ჩამორჩენილი რუსეთი ვერ იტანს სოციალისტურ რევოლუციის ცდას, რომ კერძო საკუთრების მოტრფიალეთა 90 პროც. [illegible] ბოლოს და ბოლოს მაინც თავისას გაიტანს და ბოლომდი არ გაჰყვება პროლეტარიატს, მოხდება ის, რომ ან დაინგრევა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება და გამეფდება რეაქცია, ან ბევრი სისხლის ღვრის შემდეგ, ბევრი უმიზნო ტანჯვის შემდეგ რევოლუცია დაუბრუნდება თავის გამოსავალ წერტილს.

მთელი სამოქმედო ხაზი, ყველა ტაქტიკური ნაბიჯები რევოლუციის მსვლელობაში, რომელსაც სდგამდა მარქსისტული ს.-დემოკრატია გამომ-

ზიდენტმა ვილსონმა პირველად გაისეირნა ავტომობილით.

ინგლისელები ლენინის ჯარში.

ჩერჩილმა პარლამენტში დაადასტურა: ორ თებერვალს ლენინის რუსეთში იმყოფებოდა 394 ბრიტანელი აფიცერი და 7,929 სხვა... (დამახინჯებულია) ბრიტანეთის სამხედრო მისიასთანი. ინგლისელები ბრძოლებში არ ღებულობენ მონაწილეობას, გარდა მფრინავთა მცირე ნაწილისა.

ომის კანონების დამრღვევნი.

„ნაციონალ ცაიტუნგი" იუწყება: გერმანიამ შეადგინა სია ომის კანონების დარღვევაში დამნაშავე პირებისა, რომელთა გაცემასაც გერმანიის მთავრობა მოითხოვს. ეს სია მოკავშირეთა სიაზე უფრო გრძელია და შესდგება უმთავრესად ინგლისელ და ფრანგ ოფიცრების და ჯარისკაცებისაგან, რომელნიც გერმანელ სამხედრო ტყვეებს ცუდათ ეპყრობოდენ.

უნგრეთის სასარგებლოთ

იტალიის მოთხოვნილებამ, რომ ჩეხო სლოვაკიის, რუმინეთისა და სამხრეთსლავიის საზღვრები შეცვლილი ყოფილიყო უნგრეთის სასარგებლოთ, მომხრე იპოვა ინგლისის და მოწინააღმდეგე საფრანგეთის მხრით.

სამფლობელოთა გაყიდვა.

შეერთებულ შტატების მიერ დასავლეთ ინდოეთში ინგლისის სამფლობელოთა ყიდვის საკითხი კვლავ აღძრა ხაზინის ყოფილმა მდივანმა, რომელიც ამ ყიდვაში თავდებათ იყო. ამით ინგლისი ამერიკას გადაუხდის თავის ვალებს.

ბოლშევიკების ცნობები.

ალორძინება და მშვიდობიანობა.

მოსკოვი, 10 მარტი. (გამოტოვებულია) მათ სურთ ესლა მთელი ძალა მოახმარონ შინაურ ალორძინების საქმეს, იცხოვრონ ყველა ხალხთა მშვიდობიანობით. პოლონეთის თავდასხმა კი ევროპის მშვიდობიანობას ხელს უშლის. რუსეთს და უკრაინას სურს პოლონეთის რესპუბლიკასთან მშვიდობიანი განწყობილება, მაგრამ იძულებულნი არიან თავი დაიცვან.

ბრძოლა ეპიდემიასთან.

შრომის მთავარმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ინსტრუქცია სახალხო ჯანმრთელობის დარგში. ხოლერის ძლიერი გავრცელება მოსალოდნელია დასახლებულ ადგილების დაბინძურების გამო შრომის მთავარი კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს დაუყონებლივ შრომის ბეგარა გამოაცხადონ სანიტარულ მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. პირველი საქმე გაიწმინდოს დასახლებული ადგილები ნაგავისაგან და გადაიზიდოს დანიშნულ ადგილზე; 2) გასუფთავდეს საზოგადოებრივი შენობები და ის ადგილები, სადაც მცხოვრებლები იყრიან თავს, და თუ საჭიროება მოითხოვს, შეკეთდეს ეს შენობები; 3) მოწესრიგდეს საავადმყოფოები სარეცხის საცვლის შეკეთების. ავათმყოფების გადაყვან გადმოყვანისა და სხვა საქმეთა მოსაწესრიგებლად უნდა გამოყონ კვალიფიციალური მუშაკები.

სამხედრო ცნობა.

პერეკოპის და სივაშის რაიონში მტრის იერიშები უშედეგოთ სწარმოებს. ჩვენ ქალაქი ეისკი მტრისაგან გავწმინდეთ. ეკატერინოდარის სამხრეთ აღმოსავლეთით რკინის გზის ხაზზე მტერს ვავიწროვებთ. ხელში ჩავიგდეთ ქონება.

მიზნები სურსათის დარგში.

სასურსათო პოლიტიკის დარგში შემდეგი მიზნებია: 1) მთელი ძალების დახმარებით რამდენიმე მილიონი ფუთი სასურსათო ფონდში შეკრება. 2) სასურსათო ბაზის სახით მისი განაწილება იმ ოლქებში, სადაც მრეწველობა შეჯგუფებულია. 3) სასურსათო პოლიტიკა უნდა პირდაპირ დაემორჩილოს მრეწველობის აღორძინების მიზნებს, უნდა უზრუნველყოფილ იქნეს პირველ რიგში ტრანსპორტი და მთავარი სამრეწველოები.

შრომის არმია.

შრომის მიზნებისათვის სამხედრო ნაწილების გამოყენებას აქვს ერთგვარი პრაქტიკული (სამეურნეო და სოციალისტური) და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სამხედრო შრომის ფართო მასშტაბით ცხოვრებაში მიზან შეწონილ განხორციელების პირობებს წარმოადგენს უბრალო ხასიათი შრომისა, რომელიც ყველა წითელი არმიელისთვის მისაწვდომი იქნება.

შრომის დეზერტირები.

რადგანაც მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი სურსათ სანოვაგის მხრივ უზრუნველყოფილ უკეთეს პირობებს ეძებს და ხშირად სპეკულაციის მიზნით თავისი ნებით სტოვებს წარმოებას და ადგილიდან ადგილზე გადარბის, რითაც ფერხდება წარმოება და უუარესდება საერთო მდგომარეობა, ამიტომ საბჭოთა მთავრობისა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა მიზანი უნდა იყოს სისტემატიური სასტიკი განსაზღვრული, დაუზოგველი და მკაცრი ბრძოლა შრომითი დეზერტირობასთან. კერძოთ უნდა გამოქვეყნდეს დეზერტირთა საჯარო სია (გამოტოვებულია) და დაბოლოს მოხდეს მათი კონცენტრაციულ ბანაკებში დამწყვდევა.

სუბოტნიკები.

სუბოტნიკებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე ეს ამ ჟამათ არის. სუბოტნიკებისათვის უნდა იქნენ არჩეული ადგილობრივ მცხოვრებლების მახლობელი მიზნები. უნდა მიეცეთ მას კოლექტიური შრომის ხასიათი (გამოტოვებული).

ინგლისს სტამბოლი მიაქვს.

ნათლად სჩანს, რომ ინგლისი ცდილობს სტამბოლი და შავზღვაზე გასასვლელი სრულ ხელში ჩაიგდოს. ინგლისი როგორც სჩანს, ამ მიზნით 80,000 კაცისაგან შემდგარ ჯარს ადგენს.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს ზუსტად 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა. დღეს, დილის 11 საათზე დამფუძნებელი კრების მოწვევის წლის თავისა და რუსეთის რევოლუციის 3 წლის შესრულების გამო შესდგება დამფუძნებელი კრების საზეიმო სხდომა.

◆ დეპეშა ლონდონიდან. ბ-ნი ო. უორდროპი სალამს უძღვნის საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს და სთხოვს გადასცეს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგს ბ-ნ ალ. ლომთათიძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა, რომელიც გამოგზავნილია ლონდონიდან 21 თებერვალს თემთა პალატის თავმჯდომარისაგან: „თემთა პალატის სახელით მსურს მადლობა გამოგიცხადოთ თქვენ გულწრფელ მომართვისა და მეგობრულ გრძნობისათვის, რომელსაც ჩვენ სავსებით ვიზიარებთ. მე მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ ბრიტანეთის პარლამენტი და ხალხი იზიარებენ ქართველი ხალხის სამართლიან დაკმაყოფილებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით".

◆ სახ. უნივერსიტეტი და მუშათა კლუბი (პლეხანოვის პრ. № 128). დღეს, 12 მარტს რევოლუციის სამი წლის შესრულების აღსანიშნავათ გაიმართება საზეიმო საღამო. ამხ. გეგეჭკორი გააკეთებს მოხსენებას სადღეისო მდგომარეობაზე ქართულ ენაზე. ალ. ლევდარიანი წაიკითხავს ლექციას რუსულ ენაზე შემდეგ თემაზე: რუსეთის რევოლუცია და თანამედროვე მდგომარეობა. სახ. უნივერსიტეტის ხორო და ორკესტრის მიერ შესრულებული იქნება რევოლუციონური ჰიმნი, ნაჩვენები იქნება კინემატოგრაფიული სურათები: „აღსდექ მუშავ"!

◆ თავისუფლების დღე. საქართვ. ცენტ. კოოპერატივთა კავშირი და ქართ. სამუსიკო საზოგ—ბა სახალხო სახლში გარნიზონისათვის მართავს კონცერტს (უფასოდ) თავის კაპელას და ქართ. საოპერო სტუდიის მონაწილეობით, თავისუფლების აღსანიშნავად, დღეს 12 მარტს.

◆ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 128) 10 მარტიდან გაიხსნა იაფი სასადილო და საჩაიე.

◆ „ცისარტყელა". გამოვიდა და იყიდება ყველგან ჟურნ. „ცისარტყელა" № 3. შინაარსი, ს. აბაშელი—ღამის მხატვარი, ბაბილინა—ლედა, კ. გამსახურდია—წმიდა [illegible] ნიმუშები, იასამანი—უფალს, ობოლი მუშა—სამი ლექსი, ვარლ. რუხაძე—გლეხი და ველი, ქნარა—ზღვის ტაძრებზე, ს. აბაშელის თარგმანი პშიბიშევსკიდან—ლოცვა, ვ. მალაქიაშვილი—მელნიერი ქალი, ს. პართენაშვილი—ცისარტყელა, არჩ. რუხაძე—ბოლ საფლავთან. ტრ. რამიშვილი—სტუმარ-მასპინძლობა, აკაკი პაპავა—ფიქრები თეატრის კრიზისზე. ჟურნალი ღირს 30 მანეთი.

კ რ ე ბ ე ბ ი.

— კვირას, 14 მარტს, დილის 11 ს. და ორშაბათს, 15 მარტს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

— 14 მარტს, საღამოს 5 ს. მოწვეულია ჩუღურეთის ნოე ჟორდანიას სახელობის ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგეობის მიერ, ამავე სამკითხველოს წევრთა საზოგადო წლიური კრება. (19 თებერვლის ქუჩა № 9).

— დღეს, საღამოს 5 ს. საკუთარ ბინაზე დანიშნულია კრება საქ. ახ. მარქ. ორგ. ცენტრალურ კომიტეტისა.

— დღეს, ნაშუადღევის 3 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ მშენებელთა კავშირის ძველი გამგეობა სტუდენტთა სასადილოში იწვევს ახლად არჩეულ გამგეობას ანგარიშის ჩასაბარებლად. ძველი და ახალი გამგეობის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— 12 მარტს, 2 ს., მზარეულთა პროფ. კავშირი იწვევს საერთო მორიგ კრებას თავის წევრებისას მუშათა სასახლეში.

პროვინციის ქრონიკა

სენაკის სამაზრო ერობის ტექნიკური განყოფილება იწვევს ტეხნიკოსს და მექანიკს. პირობების გამოსარკვევად პირადი მოლაპარაკება საჭირო ერობის რწმუნებულთან (ქ. თფილისში, ჩრდილოეთის ნომრები, 53). თხოვნები უნდა გაიგზავნოს სენაკის სამაზრო ერობის სახელზე.

დამფუძნებელი კრება

9 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

(დასასრული)

კრება გადადის გრ. ვეშაპელის მთავრობისადმი შეკითხვაზე შესახებ მოქალაქეობის კანონის განხორციელებისა აფხაზეთში.

შეკითხვაზე განმარტებას იძლევა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პ. პეპინაძე, რომელიც ამტკიცებს, რომ სინამდვილეში არავითარ კანონის დარღვევას აფხაზეთში ადგილი არ ჰქონია. კანონით დაწესებული ვადა მოქალაქეობის მიღებისა, არავის არ შეუცვლია. სოხუმის ოლქში მცხოვრებთა 27 პროც. მოსული მცხოვრებია. ისინი ითხოვენ საქართველოს მოქალაქეობის მიღების გაადვილებას. ამ ჟამად მთავრობა აგროვებს ყველა საჭირო ცნობებს და თუ კი ის დარწმუნდება, რომ აღნიშნულ პირთათვის მოქალაქეობის მიღების გაადვილება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესს ემსახურება, მაშინ ის (მთავრობა) დამფუძნებელ კრებას წარუდგენს სათანადო კანონ-პროექტს. მანამდე კი არსებული კანონი ძალაში რჩება და ის არ დაურღვევია არც აფხაზეთის კომისარიატს, და არც საერობო დაწესებულებას, არც ფორმალურად და არც იურიდიულად.

გრ. ვეშაპელი (ნაც.-დემ.) [illegible] აღნიშნული კანონი [illegible] შესახებ არ იყო თავის დროზე გამოცხადებული, რამაც მცხოვრებნი შეცდომაში შეიყვანა, რომ ეს შეკითხვა არ ყოფილიყო, მაშინ შესაძლებელი იყო კანონის დარღვევას ჰქონოდა ადგილი, რადგანაც მეტად ბუნდოვანად იყო გამოქვეყნებული.

ალ. ხოდოლაშვილი მოგვიხსენებთ, რომ შეკითხვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა მაშინ, თუ იგი გამომდინარეობს საქმის ნამდვილი ვითარებიდან.

დინარეობდა ამ საერთო სჯულიდან, რუსების რევოლუციის შინაარსზე ამ შეხედულობიდან; აქ სოც. დემოკრატიის გზის მაჩვენებელი, მნათობი ვარსკვლავი იყო მისი წლობით შემუშავებული მეცნიერული, მარქსისტული მსოფლმხედველობა, მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე. მას ერთხელაც არ გადაუხვევია ამ ნაცად გზიდან, მიუხედავათ რევოლუციის აბობოქრებულ ზღვის სირთულე-სიძლიერისა, რომელმაც ასე დააბნია, დავთარი დაუკარგა ბოლშევიკებს.

აი, ეს ორი, დიამეტრალურათ მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა და ტაქტიკა შეეტაკა ერთი მეორეს რევოლუციის პროცესში. მრავალ გარდაუვალ მიზეზთა გამო, რომელთაც განსაკუთრებით ომთან და სასურსათო კრიზისთან ქონდათ კავშირი და რომელთა გარკვევა აქ შეუძლებელია, მეორე მიმდინარეობა, ასე ვსთქვათ, მეცნიერულ-ისტორიული მიმართულება სოც.-დემოკრატიის სახით არ მიიღო რევოლუციის მსვლელობამ, დამარცხდა მისი თითქმის ექვსი თვის ჰეგემონია და რევოლუციის ხელმძღვანელობა წილათ ხვდა პირველს, ბოლშევიკურ მიმდინარეობას. აგერ ორი წელიწადნახევარია, რაც რუსეთის რევოლუციის მემკვიდრე ბოლშევიკები ბატონობენ, ჩვენ ვიცნობთ ამ ორიწლინახევრის ისტორიას, საკმაოთ გავეცანით ბოლშევიკების პრაქტიკას, ჩვენ წინ არის ამ ხნის განმავლობაში მათი პოლიტიკის ნაყოფი, ვიცით რა ცვლილება განიცადეს ბოლშევიკებმა, ადვილი შესამჩნევია აგრეთვე, საით მიისწრაფის ბოლშევიკური რუსეთი, რა ტენდენციები ახასიათებენ მის ცხოვრების მომავალ განვითარებას.

ამიტომ რევოლუციის მესამე წლის თავზე საინტერესოა ვიკითხოთ, რას მოელოდენ, რას ამტკიცებდენ ფანატიკურ გატაცებით ბოლშევიკები და რას გვეუბნება ჩვენ და მათაც ახლანდელი სინამდვილე „საბჭოთა რესპუბლიკის" ცხოვრებისა, ერთი სიტყვით, საბოლოოთ, ნაჩვენებ ორ მიმდინარეობებში რომელი გაამართლა ისტორიამ, სინამდვილემ?

ზოგი ფიქრობს, რომ ბოლშევიკების აზრებისა და ტაქტიკის გამარჯვებას ამტკიცებს მათი დღევანდელი არსებობა. ისე ფიქრი ან გულუბრყვილობის, ან უცოდინარობისა და დაუკვირვებლობის ბრალია. ვინც ცოტათ კი დააკვირდებოდა ამ ხნის განმავლობაში ბოლშევიზმის ცვალებადობას, მის ევოლუციას მემარჯვენების მიმართულებით, ვინც თვალს ადევნებს გაზეთებში ვრცელ ბოლშევიკურ რადიო-ცნობებს მათი საქმიანობის შესახებ, მისთვის აშკარაა, რომ დღევანდელი ბოლშევიზმი უკვე აღარ არის ის ბოლშევიზმი, რომელიც რევოლუციის მოევლინა ოქტომბრის გადატრიალებით.

კითხვა ასე უნდა დაისვას: მოხდა ის რასაც ბოლშევიკები მოელოდენ თუ არა, ე. ი. მიუახლოვდა თუ არა ოდნავათაც რუსეთი სოციალისტურ წყობილების გზას, შერჩა თუ არა საბჭოთა სამფლობელოს ის ელფერი სოციალიზმით გამსჭვალულ სახელმწიფოსი, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში მაინც უნდა გამოეჩინა თავისი სახე? არა და არა. ბოლშევიზმი, როგორც აზრი, როგორც სოციალისტური მიმართულება და მოქმედება დამარცხდა ყველა გზით. პირიქით გამართლდა თითქმის ყველა გათვალისწინება სოც.-დემოკრატიისა. თვით რომ დავანებოთ იმას, რომ ერთათ ერთი მათი იმედი—ევროპის სოციალისტური რევოლუცია არ გამართლდა და არც შეიძლება ახლო მომავალშიც გამართლდეს იგი, რომ მათ სოციალისტურ შენების მაგიერ დაანგრიეს, დაარღვიეს ქვეყნის საწარმოო ძალები, დაშალეს ტრანსპორტი (ამაზე ყოველ დღე მოსთქვამენ ბოლშევიკები), ყველა ამ უტყუარ ფაქტებს რომ თავი დავანებოთ, მარტო საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ბოლშევიკები თვით შეიცვალენ, გადასხვაფერდა მათი იდეოლოგია, მათ კისერი მოსტეხა სასტიკმა სინამდვილემ გლეხურ რუსეთისა.

მთელი ეს ორწლინახევრის ისტორია იყო ისტორია თანდათანი დათმობისა, კომპრომისისა ბოლშევიკების მიერ სინამდვილის მიმართ. უდიდესი, პრინციპიალური დათმობა იყო საშუალო გლეხობასთან, „სრედნიაკებთან" მორიგება, მათი „კომუნიზმის" მფარველობის ქვეშ მიღება. დაიწყეს მესაკუთრე გლეხებთან სასტიკი ომი, გამოაცხადეს მათი მოსპობა, გაათავეს მორიგებით. ამ დღიდან იწყება ბოლშევიზმის ფერი ცვალება, მისი კაპიტულიაცია კერძო საკუთრების წინაშე. დაიწყეს [illegible] სოციალიზაციით, შეურიგდენ მიწის დატაცებას, იძულებული გახდენ ქედი მოეხარათ დატაცებულ მიწების გლეხების მიერ მითვისების წინაშე.

ყველას ახსოვს სასტიკი, შეურიგებელი დამოკიდებულება ბოლშევიკების ევროპის იმპერიალიზმისადმი. მათ ლაპარაკიც არ სურდათ დასავლეთის „ზვერებთან", ცეცხლითა და მახვილით მოემართებოდენ ევროპაში კომუნისტები რევოლუციის ასაფეთქებლათ. რით გათავდა დღეს მთელი ეს მრისხანება? სრულის მორიგებით ევროპის იმპერიალისტებთან. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, კომუნისტურ რუსეთის წარმომადგენელი ლიტვინოვი მუხლმოდრეკილი ევედრებოდა იმპერიალისტებს ინგლისის სახით, ოღონდ თავი დაგვანებეთ, [illegible].

სოციალისტურ სახელმწიფოს შენება დაიწყეს, რომელიც უნდა დაფუძნებულიყო ახალ სამეურნეო პრინციპებზე, უნდა მოესპარიყო კაპიტალისტური ფორმა წარმოების, საქონლის და ფულის მეურნეობა, დღეს კი ვხედავთ „კომუნისტი" ბოლშევიკები ევროპის და ამერიკის კაპიტალისტებს უთავაზებენ ქვეყნის სიმდიდრეს—ნედლი მასალის სახით, აძლევენ კონცესიებს, ეპატიჟებიან ხანგრძლივ საექსპლოატაციოთ, ერთი სიტყვით უზრუნველყოფენ კაპიტალიზმს ბევრათ უარეს ფორმებში. შინ ვაჭრობის ნაციონალიზაცია გამოაცხადეს, გარეთ კი ევროპის იმპერიალისტებთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ტკბილი ბაასი აქვთ.

თუ რამდენათ მოიდრიკა ბოლშევიზმი, რამდენათ შეეგუა ის არსებულ სინამდვილეს, ამის საუცხოვო ნიმუშია ამ დღეებში გამოქვეყნებული აზრი რადეკისა ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. მეტათ დამახასიათებელია ეს აზრი. აქ ჩვენ წინ არის ნამდვილი ძველი ყაიდის დიპლომატ-კომერსანტის ტიპი რადეკის სახით, რომელსაც კარგათ შეუთვისებია ამ ტიპების ენა და გამოთქმები. „კეთილსინდისიერი" ინგლისის იმპერიალისტები არ ინებებენ რუსეთის ინტერესების შეზღუდვას სავაჭრო ურთიერთობაში—ამბობს რადეკი იმ იმპერიალისტებზე, რომელთა ადრესზე წინეთ მისი ამხანაგები მრისხანების ცეცხლს აფრქვევდენ.

ამაზე მეტი ცვლილება შეიძლება? ეს არის „ყოფილი" ბოლშევიზმი? ასეთია ბოლშევიზმის კაპიტულიაცია სინამდვილის წინაშე. დღეს იგი წარმოადგენს ნამდვილ რუსულ ნაციონალურ მიმართულებას, სრულიად უვნებელს ევროპის სტატუსკვოსათვის. ამაშია ბოლშევიზმის, როგორც სოციალისტურ დოქტრინის, სრული დამარცხება. ამაშია სწორეთ სოც.-დემოკრატიის პროგნოზის, მისი გათვალისწინების გამართლება.

სოც.-დემოკრატიის ეს წინასწარმეტყველება ბოლშევიზმის ბედის შესახებ ასეთი იყო: ბოლშევიზმი ან რეაქციით გათავდება, ან ის შეიცვლის თავს, როგორც [illegible], რომლისაც ის უბრალო დემოკრატიულ-სახელმწიფოებრივ ხასიათს მიიღებსო. ჩვენდა სასიხარულოთ დღეს არის იმის საბუთები, რომ ბოლშევიზმი მეორე გზით მიიმართება. სჩანს რევოლუციამ აღწერა სრული რკალი თავის განვითარებისა და უახლოვდება თავის ნამდვილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შინაარს. ამ მხრით ბრწყინვალეთ გამართლდა სოც.-დემოკრატიის პროგნოზი. გამართლდა ერთხელ კიდევ მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე. ჩვენ არ ვიცით უკეთესი საილუსტრაციო ფაქტი ამ მსოფლმხედველობის გამართლებელი, როგორც ეს იყო რუსეთის რევოლუციის ბედი.

ბოლშევიკებმა მოინდომეს და ძალდატანებით კიდევაც გააგდეს სინამდვილე გლეხურ რუსეთის, კერძო საკუთრების სახით კარებში, მაგრამ ამ სინამდვილე ისევ შემოიჭრა ფანჯარაში. მაგრამ, როდის? დიდი მსხვერპლის, დიდი დანგრევის, უმიზეზო ტანჯვათა შემდეგ ეს იყო ისტორიული მისია ბოლშევიზმისა.

ალ. ცორუთელიანი.

ანტონ სტეფანეს ძე გელაზარიშვილი შვილები შალვა და ეთერი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველის მეუღლისა, მეორეთა დედისა

თამარ პეტრეს ასულ გელაზარიშვილისა

ამა 11 მარტს, პანაშვიდები საღამოს 6 ს. დაკრძალვა მოხდება შაბათს 13 მარტს დილის 10 ს. სოლოლაკის სასაფლაოზე წირვის შემდეგ კათოლიკების [illegible] ეკლესიაში. (კათოლიკების ქ. № 13)

ღრმათ დამწუხრებული მშობლები ვასილ თამარაზის ძე თევზაძე და მარიამ [illegible] ასული თევზაძისა, შვილები: ლუბა ვასილის ასული პეპინაძისა, ალექსანდრე, გიორგი, თამარ და ლუდმილა თევზაძეები, შალვა ნიკოლოზის ძე პეპინაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მოულოდნელ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი, მხოლოთ მეორეთა უძვირფასესი ძმა, და მესამესი დაუვიწყარი ცოლის ძმა

ილია ვასილის ძე თევზაძე

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ამა წლის 13 მარტს დილით შაბათს, ზუსტად დილის 9 ნახევარ საათზე. ორპირის ქუჩაზე, საკუთარი სახლიდან რკინის გზის ეკლესიაზე ქ. სამტრედიაში. (9 9—1—1)

ღრმად დამწუხრებული დედა ატალო, ძმა დათა და რძალი სონა კუკულაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

ილარიონ ლუკას ძე კუკულაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას 14 მარტს ქ. ლანჩხუთში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (ფ. 2—1)

ქვრივი მატრო ბახვას ასული და რძალი ელისაბედ მამანტის ასული შვილებით ღრმა მწუხარენი გულწრფელ მადლობას სწირავენ იმ პირთ, რომელთაც პირადის დასწრებით თუ დეპეშის სახით გაიზიარეს მათი მწუხარება

ბესარიონ ლუკას ძე ხოფერიას

გარდაცვალების გამო. (932 1—1)

უზომოთ დამწუხრებულნი დედა ეფემია, მამა რაფიელ, ბებია ბარბალე; ბიცოლები: ოლინკა, ანეტა და მარო, ბიძები: სვილან, მაკარი და ივანე გოგუაძეები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს დაუვიწყარის პატარა

პეტრე რაფიელის ძის გოგუაძის

უდროოდ გარდაცვალებას დასაფლავება მოხდება შაბათს, 13 მარტს სოფელ ჭანჭეთში (გურია) (უ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი და გულდამწვარი შვილები: მღ. პლატონ და სერგო, რძალი ოლინკა და შვილის შვილები: შალვა, ლავრო, ბიძინა, ქეთო და ნუცა ჯანჭველაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის უძვირფასესი და საყვარელი დედის, მეორის დაუვიწყარი დედამთილის და მესამის აღმზრდელი ბებიის

თეოდოსია დავ. ასულის ჯანჭველაშვილის

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. საყულიაში (ქუთ. მაზ.) 11 მარტს, დილის 3 ს. მაცხოვრის ეკლესიის გალავანში. (935 7—1)

გულდაწყვეტილი მეუღლე ნესტორ, შვილი მიტუშა და ბიძა გუჯული ხორგუანები, დედა დესპინე სალიასა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 14 მარტს (ახ. სტ.) ღ. სუფსაში დანიშნულია გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის

შუშანა პეპუს ასული ხორგუანისა

პანაშვიდი გადახდილი იქნება სასაფლაოზე 1 საათზე. (202 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილები, ბებია ელისაბედ სტ. ასული ვაჩნაძისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ თავიანთ ძვირფასის და დაუვიწყარის შვილის როტმისტრის

გიორგი დავითის ძის ფორაქიშვილის

გადახდილი იქნება წლის წირვა კვირას, 14-ს მარტს, ავლაბარში წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (937—1—1)

გულითადი მწუხარებით მოცულნი მეუღლე ნატალია სპირიდონის ასული, შვილები ოლღა ფურიეშვილისა, ალექსანდრა ჯაველიძისა, ნიკოლოზ, სევერიანე, ვასილი ჯაყელები, რძლები თამარა და ელენა, სიძეები სერგო ფურიეშვილი, კირილე ჯაველიძე, შვილის შვილები ელენე, მარო, მიხეილ და ალექსანდრე ფურიეშვილები. ანგელინა, კოტიკა, ფაცია ჯაველიძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ქაიხოსრო გიგოს ძე ჯაყელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 მარტს (ახ. სტ.) დილის 12 საათზე, ქ. ოზურგეთში [illegible] ეკლესიის გალავანში. (936 1 1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ალექსი [illegible] ძე [illegible], შვილები: არტემ, სიმონ, [illegible], [illegible], მარიამ, რძალი [illegible] და მარიამ [illegible], [illegible] ძე რამიშვილი [illegible]; შვილიშვილები: [illegible], მარუსია, მიშა და ცუცა [illegible] და ქეთო, ცუცა და ვანო რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ივლიტე გერიძის ასულის პალანდაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. ხიდი თავში (გურია) ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში (9 3—1—1

თავზარდაცემულნი: საბინე [illegible] ძე [illegible], შვილები: ლარიკო, მარგარიტა, ლევან და არკადი კალაძეები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 7 მარტს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის მეუღლე ხოლო დანარჩენთა საყვარელი დედა

ს ო ნ ი ა

დაკრძალვა მოხდა ქალ. სოხუმში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში 9 მარტს. (თ 1—1)

მაგრამ როდესაც შეკითხვა აგებულია გაზეთ ცნობებზე, როდესაც მას სინამდვილეში ადგილი არა აქვს, მაშინ ის მკარგავს მნიშვნელობას და უბრალო ლაპარაკს პროვოცირად იქცევა. დღევანდელი შეკითხვის დროს სწორედ ასეთ მოვლენას აქვს ადგილი. ჩვენ მოვისმინეთ ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განმარტება წარმოდგენილ შეკითხვის შესახებ. ამ განმარტებიდან აშკარაა ერთი რამ: აფხაზეთში შეკითხვაში აღნიშნულ კანონის დარღვევას ადგილი არა ჰქონია, რა მოხდა იქ? აფხაზეთის კომისარიატმა 2 იანვარს გამოაქვეყნა რუსულად ტექსტი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული მოქალაქეობის კანონისა. ამ ტექსტს არავითარი განმარტება, მოწოდება ან დადგენილება არ ჰქონდა დართული; აშკარაა აქ არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მოქალაქეებს რამე სხვა უფლება ენიჭებათ, გარდა კანონში აღნიშნულისა. ამ კანონის რუსული ტექსტის გამოქვეყნებას ჰქონდა ერთი მიზანი: გაეთვალისწინებინა ყველას ვინ ითვლება ჩვენ მოქალაქედ და ვინ არა; ამას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან მოქალაქეობრივ უფლებასთან დაკავშირებულია ერთგვარი მოვალეობაც.

ბ. ვეშაპელმა თავის სიტყვის დასამტკიცებლად მოიყვანა სხვათა შორის აფხაზეთში დამფუძნებელი კრების არჩევნების ხელმძღვანელი მცირე კომისიის სხდომის დადგენილება. მე გავიხსენებ ბ-ნ ვეშაპელს ერთ გარემოებას: მცირე კომისიამ მოიწვია შეერთებული სხდომა ყველა პასუხისმგებელ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და პოლიტიკური პარტიათა წარმომადგენლებისა, ამ სხდომას დაესწრო აგრეთვე ბ-ნი ვეშაპელი. სხვათა შორის იქ იყო დასმული საკითხი აფხაზეთში მოქალაქეობის კანონის გატარების შესახებ. აქ ნიშნული იყო, რომ სხვადასხვა ობიექტიური პირობებისა გამო, როგორც იყო კანონის რუსულ ენაზე გამოუცემლობა იმ დროს, როდესაც აფხაზეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი ამ ენაზე ლაპარაკობს, ბიუროკრატიული მოსამსახურეები, მოხელეებთან ბრძოლა და სხ. თითოეულ მასას ხელი შეუშალა, რომ მოქალაქეობის კანონით თავის დროზე ესარგებლნა. შეერთებულმა სხდომამ იქონია რა მხედველობაში ეს საკითხის შესახებ, დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ქვეშევრდომობის კანონის მოქმედების ვადა აფხაზეთისათვის გაგრძელებულ იქნას. ეხლა მე მინდა შევეკითხო ბ-ნ ვეშაპელს: თუ ერთის მხრით აფხაზეთის კომისარიატმა გამოიჩინა თავითხებობა და თავის ნებით დაადასტურა ჩვენებული კანონის მოქმედების ვადის გაგრძელება, მეორეს მხრივ კი შუამდგომლობდნენ მთავრობის წინაშე ამავე კანონის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, მაშასადამე, ანგარიშს უწევდნენ დამფუძნებელ კრებას, რატომ ბ-მა ვეშაპელმა ერთი სიტყვითაც არ აღნიშნა ეს შეუსაბამობა? რეზოლუციის მიღების დროს მან მხოლოდ თავი შეიკავა.

ბ-მა შეკითხველმა თავის სიტყვაში დაასკვნა, რომ კანონის გამოქვეყნება აფხაზეთში ჩასთვალეს ვადის გაგრძელებად, ამიტომ ზოგიერთმა კიდევაც შეიტანა განცხადება მომრიგებელ მოსამართლესთან ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთ ჩარიცხვის შესახებ და დიდ დანაშაულად ჩათვალა მომრიგებელ მოსამართლეს ასეთი განცხადების მიღება. შემდეგ მან აღნიშნა, რომ პროფესიონალურ კავშირში მოწოდებით მიმართეს, ვისაც გსურთ საქართველოს მოქალაქედ ჩარიცხვა, უნდა განცხადება წარადგინოთ სათანადო უწყებაში, საქმე იმაშია, რომ აფხაზეთში თითქმის დარწმუნებული არიან, რომ მთავრობა შეიწყნარებს მათ შუამდგომლობას და ქვეშევრდომობის სურვილის გამოცხადების ვადა აფხაზეთისათვის განგრძობილ იქნება, რადგან ასეთი შუამდგომლობა აღძრული აქვს კომისარიატს, დამფუძნებელი კრების საარჩევნო მცირე კომისიას და სხვ.... ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა ცდილობს მიიღოს წინასწარი ზომა იმ შემთხვევისთვის, თუ მთავრობა შუამდგომლობას დააკმაყოფილებს. რაც შეეხება მომრიგებელ მოსამართლეებს, დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მომრიგებელი მოსამართლეები ღებულობენ განცხადებებს. დანაშაული ის იქნებოდა, თუ ისინი კანონს გვერდს აუვლიდნენ, დაარღვევდნენ მას და დააკმაყოფილებდნენ განცხადებულ სურვილს.

ამ გვარად, შეკითხვაში მოხსენებულ ფაქტს აფხაზეთში ადგილი არა ჰქონია და არავითარი გასამართლებელი საბუთი არ მოეპოვება ამ შეკითხვას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბ-ნ ვეშაპელს სურდა რითიმე აღენიშნა თავისი მოღვაწეობა აფხაზეთში.

კამათის დასრულების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა ბრ. ვეშაპელის მთავრობისადმი შეკითხვა აფხაზეთში მოქალაქეობის კანონის განხორციელების შესახებ, დამფუძნებელი კრება აღიარებს შეკითხვის სრულ უსაფუძვლობას და გადადის მორიგ საკითხებზე“.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. მიღებულ იქნა დეკრეტები ლაგოდეხში და სახალხო გვარდიაში მოსამსახურეთათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ, გვარდიის საჭიროებისათვის ყოველთვიურად 15 მილიონი მანეთის გადადების შესახებ, მეორეობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი დამფუძნებელი კრების წევრობისა და მოხელეობის შეუთავსებლობის და წევრთა გასამრჯელოს კანონის დამატების შესახებ, მიღებულ იქნა დეკრეტები: 1) ქართ. საქველმოქ. საზოგადოებისათვის დახმარებად 1,500,000 მ. მიცემისა, 2) მიწათ-მოქმედების სამინისტროს ერთწლიან სამ სემესტრიან უმაღლეს სასოფლო სამეურნეო კურსების ოთხ სემესტრიან განმეორებითი კურსებათ გადაკეთებისა და კურს დამთავრებულთათვის აგრონომის წოდების მინიჭებისა, 3) ეპიდემიასთან საბრძოლველად წინასწარი ზომების მისაღებათ 2 მილიონი მანეთის გადადებისა, 4) შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსათვის 360 ათასი მან. სესხად მიცემისა სავაჭრო-სამრეწველოს ასაშენებლად.

მეორეობრივ განხილვის შემდეგ მეორე შესწორებით მიღებულ იქნა აგრეთვე კანონ პროექტი სავაჭრო სამრეწველო ქონების გამოსყიდვის გაუქმების შესახებ.

ზოგადად განხილულ იქნა კანონპროექტები: 1) სისხლის წესდების და სისხლის დებულების ჯარიმის გადიდების შესახებ. 2) მომრიგებელ სასამართლოს დაწესებულებათა ქვემდებარეობის გადაკეთების შესახებ (ეს კანონ პროექტები დროებითი ხასიათისაა), 3) შრომის სამინისტროს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, 4) სახაზინო რკინის გზის პიატიგორის შტატის განსაკუთრებული ტარიფის მოსპობის შესახებ, გარდა შავი-ქვისათვის.

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

(მთავარი ბიუროს შემოწირულებათა ბიულეტენი № 4).

ბიურომ მიიღო შემოწირულებანი: ნ. კაკაბაძის მიერ შეგროვილი 6 000 მ., ბ. ჩხიკვიშვილის მიერ შეგროვილი 400 მ., „საქართველოს რესპუბლიკა“ რედაქციაში შეგროვილი—10 000 მ., ზუბაშვილისაგან 30 მ. თბილისის თვითმართველობისაგან 25 000 მ., კ. ხახანაშვილისაგან სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენიდან 101.150 მ., ნ. არისტოვისაგან ბათუმ ლამში შეგროვილი 117 897 მ., აბოვიანცისაგან საქალაქო სკოლების მასწავლებელთა შორის შეგროვილი 5 460 მ., აბოვიანცისაგან სომხური საქალაქო სკოლების მოწაფეთა შორის შეგროვილი 950 მ., ს. აბოვიანცისაგან 200 მ., სომხური კლუბისაგან 25.000 მ., სად. ბ. ჩიტორიანისაგან მეტეხეთა ციხეში შეგროვილი 2 400 მ., მეტეხელთა ციხეში შეგროვილი 145 მ., მეშვეთა ციხეში შეგროვილი 755 მ., მილიციის უფროსისაგან ცირკში გამართულ საღამოსაგან 115 730 მ., ნ. კორიძისაგან ნავთების მოკრეფის დროს ფულით შეგროვილი 30 680 მ. 85 კ., ა. ნ. ჯავახიშვილისაგან 26 422 მ., (ამაში ქალაქთა კავშირის მოსამსახურეთა კოოპერატივის გამგეობისაგან 20 000 მ., დანარჩენი საღამოს კურსების მოწაფეთა და სხვათაგან) ბ. ჩიკვიშვილის მიერ შეგროვილი 660 მ., ნ. კოროლენკოსაგან ნავთების შეკრების დროს ფულით შეგროვილი 37 809 მ., ვერის საქალაქო სკოლის მოწაფეთაგან 1 540 მ., სულ 542 885 მ., წინათ იყო შეგროვილი 1 156 386 მან., სულ დღემდის 1 699 371 მან.

საქ. რესპუბლ. ტექნიკურ საზოგადოებაში.

ტექნიკურ საზოგადოების მიწის ძვრის კომისიამ 6 და 7 მარტს დაათვალიერა დაზარალებული რაიონი და ადგილობრივ გაეცნო საქმის ვითარებას. კომისიის მიერ შემუშავებული მოხსენება დამყარებულია შემდეგ მუხლებზე:

1) მიწის ძვრისაგან დაზარალებულ რაიონში მომუშავე ტექნიკურ ძალების უმთავრესი ყურადღება ამ ქამად მიქცეულია უსახლ-კაროდ დარჩენილ ხალხის ბინებში მოთავსებისაკენ. თუმცა ბარაკები ცხოვრებისათვის და საზოგადო დაწესებულებისათვის იქ-აქ გაშენებულია როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, მაგრამ ჯერჯერობით გაკეთებულია მხოლოდ მცირე ნაწილი იმისა, რაც საჭიროა [illegible] ამ დასაწყისში. რათა ეს საქმე რიგიანად და დაჩქარებით მოეწყოს, საჭიროა დიდძალი ფიცარი და ლურსმანი; ამ ქამად ორივე ამ მასალის დიდი ნაკლებობაა და ამას აუცილებლად მთავარმა კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

2) დიდი ყურადღება აქვს მიქცეული იმ შენობების დანგრევას და მათი იმ ნაწილების ჩამოღებას, რომელნიც ადამიანთა სიცოცხლისათვის საშიშროებას წარმოადგენენ. ამ ქამად მთავარი ქუჩები და უფრო სახიფათო შესახვევები ამ მხრივ თითქმის უზრუნველყოფილი არიან; მალე შეუდგებიან იმ შენობების დანგრევას, რომელნიც უფრო ნაკლებ, ასე ვსთქვათ, მეორე რიგის საშიშროებას წარმოადგენენ.

3) ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე ნანგრევებიდან ქონების ამოღებას; პირველ რიგში სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი არიან მოთავსებული, შემდეგ—კერძო. ეხლა ამოღებულია ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობილობანი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, მანქანები და სხვ.

4) მეორე და მესამე მუხლში აღნიშნულ საქმეების მოსაგვარებლად ხშირად თავგანწირვა და გმირობაა საჭირო; იქაურ მომუშავეთა უმრავლესობამ ეს თვისებები გამოიჩინა კიდეც. საზოგადოებამ უნდა აღნიშნოს, რომ მუშაობა სწარმოებს საკმაოდ მძიმე პირობებში.

5) მიღებულია ყოველივე ზომები, რათა საჩქაროდ ამუშაონ ელექტრონის სადგური, წისქვილები და სხვა მნიშვნელოვანი და საჭირო დაწესებულებანი.

6) ამ ქამად ქალაქში და სოფლებში ტექნიკოსების მიერ იკრიბება ცნობები, თუ ვის ეკუთვნის სახლები, რამდენ სართულს შეიცავენ, როგორი წყობა და სახურავი აქვთ, რამდენად დაზიანებული არიან, სად ეხით დანგრევას, თუ რემონტს მოითხოვენ და სხვა.

7) ადგილობრივ მომუშავე ინჟინრები იკვლევენ მიწის ძვრის ეფექტს კედლებზე, თაღებზე, კოჭებზე და სახურავზე; აგრეთვე არკვევენ ამ საკითხს მასალის, შენობის მდებარეობის, სართულთა რიცხვის და სხვა თვალსაზრისით.

8) სპეციალური გეოლოგიური კომისია არკვევს მიწის ძვრის ხასიათს, შედეგებს და მომავლის პერსპექტივებს.

9) ადგილობრივ ქალაქის და ერობის თვითმმართველობებს გადაწყვეტილი აქვთ დაქცეულ ადგილების აღდგენაში მხურვალე მონაწილეობის მიღება, რასაკვირველია, მთავრობის, საზოგადო დაწესებულებათა და სხვ. უახლოესი მონაწილეობით და თანამშრომლობით.

10) საჭიროა შემუშავდეს მიწის ძვრისაგან მედეგარი შენობების ტიპი როგორც ქალაქისთვის, ისე სოფლებისთვის ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფა ცხოვრების და მოთხოვნილებების მიხედვით.

11) საჭიროა გადაწყდეს საკითხი დანგრეულ ქალაქ სოფლების გასაშენებელ ადგილის შესახებ.

12) საჭიროა კანონმდებლობითი წესით შემუშავდეს დეკრეტი ქალაქ სოფლების სასურველად და გეგმის და შენობების მიღებული ტიპის მიხედვით აგების შესახებ.

მიწის ძვრის კომისია ტექნიკურ საზოგადოების გამგეობასთან ერთად ამ ქამად იწვევს სპეციალისტებს შენობის ტიპის შესამუშავებლად. პირველი სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 11 მარტს.

გორის ფონდი

რედაქციამ მიიღო: მატა შარაშანიძისაგან 500 მ., სეგ. დ. რამიშვილისაგან 100 მ., მასწ. ელენე წერეთელისაგან 100 მ., პავლე წიკლაურისაგან 300 მ., ხაშურის რაიონის ერობის მილიციის მოხელე-მოსამსახურეებისაგან 1500 მან.

რკინის გზის მილიციის შორის შეკრებილი 33,200 მანეთი. ს. კალანდარიშვილის მიერ შეგროვილი 1,761 მანეთი. შემოსწირეს ა. დარჩიამ 400 მან., ა. კანტარიამ 400 მანეთი, ი. მეგრელიშვილმა და ს. კალანდარიშვილმა 350 მანეთი, ლ. გოგოლაძემ 261 მან.

ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სია, რომელთაც შესწირეს გორის მაზრაში დაზარალებულთა სასარგებლოთ: ლ. გაჩეჩილაძემ 300 მანეთი. 250 მანეთი ბ. მუშკუდიანმა და გ. დეიდარიანმა. 200 მ. ი. დევაძემ, გ. ოქროპირიძემ, შ. ტაბატაძემ და ი. ებანოიძემ 100 მანეთი: ს. ლაცაბაძემ, ნ. ლაცაბაძემ, გ. ოვანოვმა, ს. ტატიშვილმა და ვ. ჯუღელიძემ. 50 მანეთი: გ. გოგუამ, ა. ჩხეიძიშვილმა, გ. კახიანმა, ს. ტაბატაძემ, მაჭარაძემ, ფ. კორძოვმა და ს. ციცქიშვილმა. ვ. როლევ და დ. მელ ჩარხოძისაგან ბავშვთა წარმოდგენაზე შეგროვილი 85 მანეთი.

ახლად გარდაცვალებულ მამის ჯანო შეწერილის ხსოვნის აღსანიშნავათ ათასი მანეთი შეიტანა ელენე ლომთათიძისა, მინადორა ტულაშვილმა და იაკობ შეწირულმა;

ფოსტა-ტელეგრაფში

ქუთაისი. ფ.-ტ. მოსამსახურეთა 3 მარტის საზოგადო კრებაზე ფართო კამათის შემდეგ, ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ იქონია რა მხედველობაში ცენტრალური გამგეობის შესახებ, განმეორებით უცხადებს მას უნდობლობას, მოითხოვს კატეგორიულად მის დაუყონებლივ გადადგომას და 27 იანვარს გამოტანილ რეზოლუციის სისრულეში მოყვანას ან და სასწრაფოდ ყრილობის მოწვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში შევწყვეტთ პროცენტების გზავნას, ყოველგვარ დამოკიდებულებას და იძულებული ვიქნებით მივმართოთ სხვა საშუალებას“.

კრების თავმჯდომარე კლ. მელიშვილი.

მდივანი მეჭანაძე.

ს.-დ. პარტიაში

თბილისი. 4 მარტს, საღ. 6 საათზე შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა.

თბილისის გაერთიანებულ კომიტეტიდან მოსმენილ იქნა მოხსენება.

მოხსენებას მცირე კოლექტივიდან აკეთებს ამხ. ხუბუნაშვილი, რომელიც კოლექტივს აცნობს პირველ სასტუმროთა მაღაზიის მუშების აუტანელ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია ადგილობრივ ზედ-მეტი მუშაობით და რომლისთვის მუშებს ზედმეტი ხელფასი არ ეძლევათ. კოლექტივმა დაადგინა: ეს საკითხი გადაეცეს პროფ. კავშირში და გადატანილ იქნას აგრეთვე თბილისის კომიტეტში. მასალების შეკრება და კავშირში წარდგენა მიენდოთ ნ. სხვილაძეს და ოლ. ბაქრაძეს.

არამიანცის საავადმყოფოს იაჩეიკის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჯაჯანიძემ, მანვე აღნიშნა მუშა მოსამსახურეთა და ექიმებს შორის მომხდარი არეულობა. კოლექტივმა აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა არამიანცის საავადმყოფოში არსებულ პროფ. კავშირისა და პარტიული ორგანიზაციის ამუშავება. კოლექტივმა დაადგინა, ახლო მომავალში მოწვეულ იქნას ამხ. გარდლოიანი, რომელიც სომხურ ენაზე გააკეთებს მოხსენებას პროვინციის მუშაობისა და სომხური სექციის მოქმედების შესახებ. სამხედრო სასწავლებელში არსებულ მცირე კოლექტივის მუშაობას, კოლექტივი სავსებით იწონებს, ირჩევს კომისიას, რომელსაც ევალება ან. რამიშვილთან მოლაპარაკება, რათა მან სამკითხველოს საჭიროებისათვის მცირე კოლექტივს დაუთმოს ერთი ოთახი. გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ დღიური ჯამაგირების გადადების შესახებ კოლექტივმა დაადგინა: ასეთი ფონდი რაც ავლაბრის საწარმოებში მოგროვდეს, გადაეცეს ავლაბრის რაიონის დამხმარე კომიტეტს, ეს დადგენილება ეცნობოს ავლაბრის რაიონის პარტიის წევრებს.

ვერხვა.

მუშათა შორის

რესპუბლიკის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა.

ეს ყრილობა დანიშნულია 15 მარტს. დღის წესრიგი: 1) შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტი, 2) საორგანიზაციო საკითხები, 3) სატარიფო პოლიტიკაში დამოკიდებულება, 4) საავადმყოფო კასა. წარმომადგენლობის წესი: სარჩენო ერთეულებად ითვლებიან თვითმმართველობები: ქალაქის და სამაზრო ერობის ორგანიზაციები, რომელნიც მოსამსახურეთა რიცხვი ასამდე აღწევს, გზავნიან ერთ წარმომადგენელს, ხოლო ასს ზევით ყოველ ასზე თითო წარმომადგენელს. უკეთუ მოსამსახურეთა რიცხვი ასამდე ვერ აღწევს, ამ შემთხვევაში ყოველ ადგილობრივ ორგანიზაციას, როგორც ერთეულს, სამაზრო იქნება იგი თუ საქალაქო, მაინც რჩება უფლება ერთი დელეგატის გამოგზავნისა, რამდენი მოსამსახურეც არ უნდა იყოს.

სასურველია დელეგატები გამოცხადდნენ ყრილობის გახსნის წინა დღეს. მანდატები წინდაწინ უნდა წარედგინონ იქნან თბილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირის ამხ. კომიტეტის კანცელარიაში, ქალ. თვითმართველობის შენობაში.

პროვინცია

ხონი. 25 თებერვალს სამაზრო ერობის გამგეობის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ყველა პოლიტიკური პარტიებიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან წარმომადგენელთა კრება გორში და მის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებელ ფონდის შესამუშავებლად. კრების თავმჯდომარე მ. ახმეტელაშვილმა გააცნო დამსწრეთ გორში მომხდარი უბედურება. კრებას წაუკითხა მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას დეპეშის შინაარსი, რომელშიაც მოუწოდებდა ყველას დახმარებისაკენ. კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი, რომ ყოველივე ღონე იხმარონ და დაეხმარონ მიწის ძვრის მსხვერპლთ. ამ საქმის მოსაგვარებლად კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელშიაც შედიან: მ. ახმეტელაშვილი, ნ. ჯანდიერი, გ. დაფქვიაშვილი, ქ. ჯაბნიძე და ექ. შავერდოვი. ერობამ და კომიტეტმა ცალ-ცალკე გამოსცეს ხალხისადმი მოწოდებები. კომიტეტი შეუდგა ყველა თემებში დამხმარე კომიტეტების არჩევას. ერობამ ჯერჯერობით გადასდო 50,000 მანეთი. ხალხს შემოწირულებები დაუზარებლათ მოაქვს, საჭიროა მხოლოდ, როგორც სამაზრო კომიტეტის, ისე სოფლებში კომისიების ენერგიული მუშაობა. პირველ და სწრაფით დახმარების დღეებათ დანიშნულია სამი დღე: 29 თებერვალი, 1 და მე-2 მარტი, მერე გაგრძელდება შემოწირულებები. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა მოქალაქე, ქართლის გაჭირვების საქმეს თავის საქმეთ მიიჩნევს და არ დაიშურებს თავის წვლილს.

სიღნაღის შტაბის ხელმძღვანელობით გვარდიაში არჩეულ იქნა კულტურულ განმანათლებელი კომისია 3 კაცისაგან შემდგარი ხ. რობიტაშვილი ქ. ფურცელაძე და გ. გურამიშვილი. კომისია შეუდგა მუშაობას. შტაბის გვარდიით გაიხსნა სამკითხველო. გამოწერილია სხვადასხვა გაზეთები, შეძენილ იქნა 60 ცალი სხვადასხვა წიგნები, აგრეთვე ყველა სიღნაღის მცხოვრები გვარდიელნი დადიან შკოლაში, რომლებიც სწავლობენ წერა-კითხვას. ამ საქმეში დიდი მადლობის ღირსია სიღნაღის ერობა, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია გვარდიას. ამას წინეთ ხმოსანთა ყრილობამ გვარდიისათვის გადასდო 5000 მან., რომლითაც შეძენილ იქნა სხვადასხვა წიგნები და სახელმძღვანელოები/ გვარდიელებიც ენერგიულათ შეუდგნენ სწავლას, ყველა თავისუფალ დროს ანდომებენ წერა-კითხვას. თუ კი წინეთ ქეიფობაში ატარებდნენ დროს, დღეს ამისათვის აღარ სცალიათ.

კადე.

წერ. რედაქციის მიმართ

(დასასრული)

ახლა გადავიდეთ თქვენ მიერ ძველი გამგეობის ოპერაციების დახასიათებაზე:

მოსამსახურეთა საბჭო დიდათ დაინტერესებულია დაქვეითების ძველი გამგეობის მუშაობა და ჩემიც, როგორც მისი ხელმძღვანელის. მას მოჰყავს მხოლოდ ორი ოპერაცია მთელი ჩვენი შვიდი თვის მუშაობიდან და ისიც ისე არასაკმარისად გადამახინჯებულად, რომ ნათლად აშკარავდება მოსამსახურეთა საბჭოს არსება. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს ცნობით ყველა ჩვენ მიერ წარმოებული ოპერაცია საზარალო ყოფილა. თუ ასე იყო ბ-ნო სხვებს რომ თავი დავანებოთ, რითი გვაბრალებდით თქვენ, რითი ვეწეოდით ისეთ დიდ ხარჯს როგორც 250,000 მან. თვიური ხარჯია? განა ეს ერთი არ ამტკიცებს, რომ თქვენ სიმართლეს არ ამბობთ?

აგილით ძველი გამგეობის მიერ წარმოებული ოპერაცია—ინგლისელებისაგან საქონლის შეძენა. თქვენ აღნიშნავთ, რომ ჩვენ შევიძინეთ 624,000 მან. საქონელი და ვინაიდან ფული არ გვქონდა, ორ ბანკიდან ვისესხეთ. ბანკებში დღემდე ხარჯი გვქონია 144,000 მანეთი და საქონელმა მოგვცა მოგება მხოლოდ 75000 მანეთი. ამ ამონაწერიდან აშკარაა, თქვენ ამტკიცებთ, რომ ორი ბანკიდან აღებული ფული მოხმარდა ამ ოპერაციას. ეს არ არის მართალი, რადგანაც ჩვენ ორივე ბანკში ავიღეთ ვალი 1,300 000 მ. და ინგლისელებიდან კი ვიყიდეთ მხოლოდ 624 000 მ. საქონელი. სად წავიდა ბ-ნო საბჭოელებო დანარჩენი ვალი? რათ არ აღნიშნავთ იმ ოპერაციებს, რომლებიც გადარჩენილ ფულით და საკუთარი ჩვენი თანხითაც ჩვენ ვაწარმოეთ?

მე არ ვიცი სწორია, თუ არა თქვენ მიერ მოყვანილი ხარჯი, მაგრამ კიდეაც რომ მივიღოთ ის უდავოთ, განა რაც საზოგადოებას ხარჯი აქვს მისი დაფარვა ერთი ოპერაციიდან შეიძლება? ან საიდან ღებულობთ, რომ ინგლისელების საქონელში ოფიც. საზოგადოებამ მოიგო მხოლოდ 75,000 მან. ან რათ ანგარიშობთ მხოლოდ 15 [illegible] მოგებას? განა ჩემ წასვლის შემდეგ [illegible] ნელზე მარტო 15 პროც. მოგებას ხედავენ? ინგლისელების საქონელი საზოგადოებას 800,000 მან. წმინდა მოგებას დაუტოვებს. საბჭო ამათი აღნიშნავს ვითომ ეს ოპერაცია იყო უმთავრესი ოპერაცია. ის შეიქმნა უმთავრესად ჩვენს წასვლის შემდეგ, როდესაც სამი თვის განმავლობაში არავითარი არ არის ნაყიდი. ჩვენს დროს კი ის იყო ერთი ოპერაციათაგანი, თითქმის მეორე ხარისხოვანი, მაგრამ მომგებიანი, და წევრთა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი.

ჩვენ ბევრი სასარგებლო ოპერაცია ვაწარმოეთ, მაგრამ საბჭო ამას ივიწყებს. რესპუბლიკის მუშათა ორგანიზაციებმა სავსებით გაიზიარეს ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები და ნაციონალიზაცია საზოგადოებისათვის უმტკივნეულოთ ჩატარდა.

ჩვენ მიერ მიღებულ იქნა რადიკალური ზომები ქურდობის აღმოსაფხვრელად და მასპინძლობით. დიდი დავისა და კამათის შემდეგ ჩვენ ვიღვაწეთ პასუხისმგებელ ნოქრების ინსტიტუტის შემოღება. ამის შემდეგ ყოველ დანაკლისს მაღაზიაში ნოქარი აუნაზღაურებს საზოგადოებას ქონებრივად, საწინდარით. ცვლილება შევიტანეთ თვით საქმის წარმოებაში, ბუღალტერიის მუშაობაში. ის გავაუმჯობესეთ და მეტი სისწორე შევიტანეთ. გარდა ამისა ჩვენ ახლო ვუშველეთ ცხოვრებას, მივიღეთ მხედველობაში სახელმწიფოს მდგომარეობა და ოფიცერთა საერთო კრებაზე დიდის ბრძოლის შემდეგ გავატარეთ დადგენილება, რომლის ძალით გვარდიელები და სახელმწიფო დაწესებულებების მოხელენი შეიძლება იყვნენ საზოგადოების წევრათ, თუ კი მოისურვებენ. ამ საკითხის გატარებამ დიდი ბრძოლა გამოიწვია ოფიცერთა წრეში. დღესაც კი ჩვენ ვითვლებით ოფიცერთა ინტერესების მოღალატეთ და ზოგიერთანი არც მალავენ ამას.

ეს ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთ შვიდი თვის განმავლობაში და ისეთ ატმოსფეროში, როდესაც არ ვიცოდით მომავალი დღე რას მოგვიტანდა (ყოველ დღე ველოდით, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი სიურპრიზს მოგვცემდნენ).

საბჭო მაშინაც ღალატობს სიმართლეს, როდესაც ციფრები უნდა მოიშველიოს. როდესაც ანგარიშობდით საქონელს, მიიღეთ კი მხედველობაში ის საქონელი, რომელიც თბილისს გარეშე გვქონდა? რასაკვირველია არა. ან რომელ პროცენტში მოათავსეთ ხეტყის ქარხანა, ჩვენ მიერ დამთავრებული ყინულის ქარხანა, საბაგო ნაწილი ან ელექტრონის ქარხანა, რომელზედაც ჩვენ ამდენი ფული დავხარჯეთ? ან რათ არ გინდათ ბ-ნო ტრანსპორტის დირექციის ბაზრის ფასზე ინანგარიშოთ? ის საქონელი, რომელიც თქვენის თქმით, ძველი გამგეობიდან ჩვენ გადმოგვეცა, თქვენ მიერ ხომ არის ბაზრის ფასზე ნაანგარიშევი? კმარა ბ-ნო! გვეჯერა რაც გინდათ. ვიცით თქვენი სურვილი და ის საშუალებები, რომელსაც მიმართავთ. მხოლოდ იცოდეთ, ფაქტებს ვერასდ გაექცევით, ფაქტები კი ლაპარაკობენ, რომ არამც თუ ჩვენს დროს, ჩვენს შემდეგაც ჩვენ მიერ წარმოებულ ოპერაციებით არსებობთ.

ი. დ. იოხავა.

ცნობები

ჩემი ქმარი ვარლამ (ივანე) დავითის ძე შალამბერიძე მსახურობდა სოხუმის პოლკში და გერმანიასთან ბრძოლაში წაყვანილ იქნა ტყვეთ, იმყოფებოდა ქალაქ დანციგში. წერილი მეწერა 1918 წლამდე შემდეგი მისამართით: Лагеръ военноплѣнныхъ, Данцигъ Германія № 3000 Варламу (Иванъ) Шаламберидзе. ორი წელიწადია არავითარი წერილი არ მიმიღია და მისი არა ვიცი რა, ამიტომ ვთხოვ მის ყოფილ ამხანაგ ჯარის-კაცებს, თუ რამე იციან, შემატყობინონ შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, გორის ქუჩა, № 15, თებრონე შალამბერიძეს.

სახალხო სახლი (ზუბ.)
დღეს
საქართ. ცენტრ. კოოპერატ. კა-რი 12/III ქართული სამუსიკო საზ-ბა
მართავს
გარნიზონისათვის
კონცერტს
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

[illegible] სახლში ვ. რუხაძისა, განაპირის შესახვევი № 1.